ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 9 – 10 თებერვალი, 2019

№33 (7888)

ფასი: 60 თეთრი

„ოცნება“ დოქსოპულოებით არის სავსე“

გვ.2

კახა მიქაია: „თალაკვაძემ, კობახიძემ და მდინარაძემ კალაძეს ჩაავლონ ხელი, ხოლო მათიკაშვილს სანთელი დაუნთონ“

7 თებერვლიდან

ქართული დეტექტივი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„რუსეთი ხაშურის ტყეების მიტაცებას აპირებს“

გვ.5

დიმიტრი შაშკინი: „ია კერზაიას მსგავსი ტრაგედია ჩემს დროს რომ მომხდარიყო, შენობიანად გამიტანდნენ“

„განათლების მინისტრისგან რამდენიმე სადღეგრძელო მოვისმინეთ, კონკრეტიკა არ ყოფილა“

გვ.4

ოპოზიცია განათლების მინისტრის გადადგომას ითხოვს

გვ.2

ნიკა მელია: „მიხეილ ბატიაშვილმა სკოლის დირექტორები მოგვისია“

„მურუსიძემ დაანახა თავისი ძალაუფლება, რომ მოსამართლეების განკარგვა შეუძლია“

გვ.3

სასამართლოში უზარმაზარი პრობლემები გვაქვს. რამდენიმე კრება ჩატარდა. სასამართლო დამოუკიდებელი აღარ არის. მათ მიმართ საზოგადოებაში ნდობა არ არის. სასამართლო ითხოვს გაჯანსაღებას. ამიტომ უნდა შეჩერდეს უვადოდ დანიშვნის პროცესი და შემუშავდეს კრიტერიუმები. იუსტიციის საბჭოში კლანია. რაც უნდა კარგი კანონი დაუწერო, განწირულია.

„კომპანიები, რომლებიც კორპუსებს აშენებენ, შესაძლოა, დაიხუროს“

გვ.6

ზვიად ხორგუაშვილი: „საბაზრო პროცესებში მთავრობის ასეთი უხეში ჩარევა იმათაც დააზარალებს, ვისაც ბინები უკვე ნაყიდი აქვს“

„მას თუ ჰგონია, რომ სამი გვრიტიშვილია ერთ იპოსტასში, ძალიან ცდება“

— გვ. 3 —

სამართალი

გვ.7

ბაკურიანში მანქანა 2 ქვეითს დაეჯახა

სასამართლომ 81 წლის ე.წ. სახალხო მკურნალი დამნაშავედ ცნო

ლ.ნ.-ს 10.000 ლარის გადახდა დაეკისრა

ბელგიის სასამართლომ ბანკის ძარცვისთვის დაკავებული ქართველი კობა მ. გაათავისუფლა

საააპელაციო სასამართლომ 4 წლის ბავშვის მკვლელობაში მსჯავრდებულის განაჩენი ძალაში დატოვა

ISSN 1987-9385

5 დაჩქარდება თუ არა საქართველოსა და უკრაინის მიღება ნატოში?

6 დავით მესხიშვილი: „გაოგნებული ვარ შესაბამისი სამსახურების გულგრილობით — ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელი სისხლიანი გზა!“

5 დავით ბეჟუაშვილი აღასტურებს, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მფლობელთა შორის არის

6 ბიზნესომბუდსმენი: „ახალი საბანკო რეგულაციები ტექნიკისა და უძრავი ქონების ბაზრებს აზარალებს“

„ოცნება“ დოქსოპულოებით არის სავსე“

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება მომსახურების ზონიდან გავიდა – განათლების მინისტრმა გამოცდები გააუქმა და სტუმარმასპინძლობის სასწავლებლის გახსნას აპირებს, გუგული მაღრაძემ მეგრული კალიგრაფია აღმოაჩინა, არჩილ თალაკვაძე კი ნიკა მელიას ხელის ჩავლებით ემუქრება, თან ისეთი ჩავლებით, რომ ვერავინ გააშვებინოს.

კახა მიქაია: „თალაკვაძემ, კობახიძემ და მდინარაძემ კალაძეს ჩაავლონ ხელი, ხოლო მათიკაშვილს სანთელი დაუნთონ“

რა სჭირს ხელისუფლებას, რაზე კაიფობს ბიძინა ივანიშვილი, სადამდე გაგრძელდება ცირკი, რა გადაწყდება მერის რიგგარეშე არჩევნებზე ზუგდიდში? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია ესაუბრება.

– ბატონო კახა, განათლების მინისტრი სამეგრელოში სტუმარმასპინძლობის სასწავლებელს ხსნის. ჩვენი მთავრობა კლოუნადას გვიწყობს თუ რა ხდება?

– ამაზე რა უნდა გითხრათ, მივესალმები ზუგდიდში სტუმარმასპინძლობის სასწავლებლის გახსნას და თქვენი გაზეთით ხელისუფლებას ვთავაზობ ჩემს ინიციატივას – სასწავლებელი თანდათან გაფართოვდეს და საბოლოოდ სტუმარმასპინძლობის უნივერსიტეტად გადაკეთდეს.

ასევე მინდა, უნივერსიტეტის რექტორის თუ არა, მარნის კარის ჭრიალის ფაკულტეტის დეკანის კანდიდატურა შემოგთავაზოთ: ზუგდიდელი ბირჟავიკების, ე.წ. კოლორიტებისა და შარაფისტების რიგებიდან, რომლებიც ჯერ ედუარდ შევარდნაძისა და ჯაბა იოსელიანის, შემდეგ მიშა სააკაშვილისა და როლანდ ახალაიას და დღეს ბიძინა ივანიშვილისა და ლევან შონიას სადღეგრძელოების წარმოთქმისას განსაკუთრებული „ვირტუოზობით“ გამოირჩევიან.

ეს ყველაფერი ხუმრობით გითხარით, მაგრამ, არ გამიკვირდება, თუ მარნის კარის ჭრიალის ფაკულტეტი მართლა აამოქმედეს. ამ ხელისუფლებისგან უკვე აღარაფერია გასაკვირი. ამათ სიბრიყვეს საზღვარი არ აქვს და მაგრად გავერთობით.

სოციალური ფონი უმძიმესია. ხალხი შიმშილობს და ამ შიმშილობის ფონზე ხსნიან სტუმარმასპინძლობის სასწავლებელს. ეს არის ხალხის დაცინვა და მეტი არაფერი.

– სამეგრელოში როგორ შეხვდნენ ბატიაშვილის ინიციატივას?

– როგორ შეხვდნენ და გაეცინათ. „ოცნება“ ისეთ დონეზეა მისული, რომ მათზე ვეღარც კი აღშფოთდები. მინდა, ერთი რამე იცოდეთ – ამ ხელისუფლებაზე გაბრაზება დაამთავრა ხალხმა

დღეს ხალხი „ქართულ ოცნებას“ დასცინის, რაც ყველაზე ცუდია. იმ ხელისუფლების ამბავი დამთავრებულია, რომელსაც ხალხი დასცინის.

თქვენ ალბათ გახსოვთ ნაციონალური მოძრაობის მიმართ ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება. თავიდან საშინლად ვაკრიტიკებდი. მერე ისეთ სისულელეებს ჩადიოდნენ, რომ დაცინვა დავუწყე. დღევანდელმა ხელისუფლებამ სისულელეებით ნაციონალებს გადააჭარბა.

რამდენიმე დღის წინ განათლების მინისტრი პარლამენტში იმყოფებოდა, სადაც მას ია კერზაიაზეც მოუწია პასუხების გაცემამ. ამ ქალბატონის გარდაცვალების საქმე დეტალურად არის შესასწავლი.

ძალიან კარგი მიმართვა ჰქონდა ქალბატონ იას შვილს, ბაჩანა შენგელიას. მან განათლების მინისტრს ჰკითხა: თქვენ დედა გყავთო? გამახსენდა გენიალური ფილმი „მონანიება“. იქ ისმება ასეთი კითხვა – დოქსოპულო, შენ დედა გყავს? მთელი „ქართული ოცნება“ დოქსოპულოდ გადაიქცა.

– ია კერზაიასთან დაკავშირებით ანონიმური წერილი ვინმე ლავრენტი ქირიას აქვს დაწერილი, რომელიც, ოპოზიციის მტკიცებით, ბუნებაში არ არსებობს. დეპუტატი გუგული მაღრაძე ამტკიცებს, რომ წერილი ზუგდიდელის დაწერილია.

– რანაირად ეტყობა, რომ ზუგდიდელის დაწერილია, კალიგრაფიაა მეგრული? ლ მიაგკი ზნაკით იყო დაწერილი? ამაზე მე ვერ გიპასუხებთ. ეს ისევ გუგულის უნდა ჰკითხოთ, რომელიც სიბრიყვეებში ჩემპიონია.

ახლა რაღაც საგონებელში ჩავვარდი, იქნება მართლაც არის ზუგდიდური დამწერლობა და არ ვიცით. თუნდაც ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ „ოცნებამ“ სისულელეებით ყველასა და ყველაფერს გადააჭარბა.

– ის ბრძენი კაცი ანუ ბიძინა ივანიშვილი რას ფიქრობს ამაზე? დაახლოებით ერთი წლის წინ ამბობდით, „ოცნების“ ლიდერი ხელქვეითებზე კაიფობსო და იგივე სიტუაციაა?

– გასულ წელს ეს ვარაუდად მქონდა მხოლოდ, ახლა ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ასევე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის ბრძენი კაცი არც გუგულიზე და არც ბატიაშვილზე სულელი არ არის.

„ოცნების“ ლიდერი მართლა ეკაიფება თანაპარტიელებს. ასეთებს მართლა უნდა ეკაიფო. მათთან როგორ შეიძლება, სერიოზულად ილაპარაკო. მეტსაც გეტყვით, ამათ ქმედებაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება ადამიანის არასერიოზულობაზე მეტყველებს.

მე პრობლემა არა მაქვს, ეკაიფოს, რამდენიც უნდა თავის თანაგუნდელებს, მაგრამ ამასობაში ქვეყანა ინგრევა.

– თქვენი აზრით, სადამდე გაგრძელდება ეს კაიფი?

– ვერ გეტყვით, უბედურება ის არის, რომ ამ კაიფში სადავეები გაექცა ივანიშვილს ხელიდან და ქვეყანა უკანუკან მიდის.

– ეს უკუსვლა როდემდე უნდა გაგრძელდეს?

– 2020 წლამდე ალბათ. მომავალ წელს ძალიან სერიოზული არჩევნები ტარდება ქვეყანაში. სერიოზული ბრძოლა გველოდება ამ გაზაფხულზეც.

– ამ გაზაფხულზე რა ბრძოლაა?

– ზუგდიდში მერის რიგგარეშე არჩევნები ტარდება და ეს არჩევნები ბევრ რამეს გადაწყვეტს. ზუგდიდის არჩევნები 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების გენერალური რეპეტიცია იქნება.

– იმედია, იგივე არ მოხდება, რაც რამდენიმე წლის წინ კორცხელში ვიხილეთ.

– ისე, კორცხელიც ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო და მაგიტომაც მოხდა იქ ის ინციდენტი. ზუგდიდი ყველა პოლიტიკურ მოვლენაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ამჯერადაც ასე იქნება. „ქართულ ოცნებას“ 2020 წლამდე ერთად მისვლა ძალიან გაუჭირდება.

– საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ამბობს, რომ ისინი სირთულეებს დაძლევენ და 2020 წელს ერთიანი გუნდით წარდგებიან არჩევნებზე.

– უხ, მაგას ვენაცვალე მე. აბა რა, აჩიკო, აბა რა. არჩევნებზე ერთი გუნდით წარდგებით, მანამდე კი სასამართლო შენი კორუმპირებული ძმაკაცების „აბსოლუტურ უდანაშაულობასაც“ დაადგენს და ანაკლიაში აღდგენილ სტუდენტურ ბანაკებშიც განახლდება გრიალი საატესტატო გამოცდებისგან გათავისუფლებული გენოფონდის ასაყვავებლად და გასაძლიერებლად.

თალაკვაძესთან ერთი კითხვაც გამიჩნდა დამატებით. პარლამენტში მან ნიკა მელიას უთხრა, კარავში შეგიყვანო.

– ისე მოგკიდებ ხელს, შეიძლება, ვერ გამაშვებინონო.

– ეგ კიდევ ბევრ რამეს იტყვის და ისევ ჩემს კითხვას დავუბრუნდები. ნეტა რომელ კარავში მიჰყავს მელია, მიშას დროს ანაკლიაში სტუდენტური ბანაკისთვის რომ იყო განკუთვნილი? ან იქნებ შეეშალა და კარვის ნაცვლად ფარცხალაძის სარდაფი უნდოდა ეთქვა.

– იმაზე რას იტყვით, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი ოპოზიციის ლიდერს ხელის ჩავლებით რომ ემუქრება? არადა, არ ტოვებს თალაკვაძე ძველი ბიჭის შთაბეჭდილებას.

– ვის უნდა მოსჭიდოს ხელი თალაკვაძემ? არ გადამრიოთ ახლა. არც აჩოია თალაკვაძე, არც იკუჩა კობახიძე და არც ნუპაგაძი მდინარაძე არავის ხელის მომჭიდებლები არ არიან. ძალიან თუ უნდათ მოჭიდება, წავიდნენ და კალაძეს მოჰკიდონ ხელი.

– კალაძეს ახლა მაგათთვის არ სცხელა – „ლივერპულისა“ და „მილანის“ ლეგენდების ამხანაგური მატჩისთვის ემზადება.

– ემზადება, თორემ მფრინავმა სამტრედიელმა არ გადარიოს საფეხბურთო სამყარო. კიდევ ვიმეორებ, თალაკვაძემ, კობახიძემ და მდინარაძემ კალაძეს ჩაავლონ ხელი, ხოლო მათიკაშვილს სანთელი დაუნთონ.

– მათიკაშვილს რატომ უნდა დაუნთონ სანთელი? მაგან გააცნო ეგ სამეული კალაძეს?

– მათიკაშვილი მაგარი კოლორიტია. მათიკაშვილი სახლში რომ მყავდეს, ტელევიზორს საერთოდ არ ჩავრთავ.

– ზემოთ თქვით, „ოცნებაზე“ სერიოზული კომენტარი არ შეიძლებაო, მაგრამ სერიოზულად ხართ მათზე გაბრაზებული.

– გაბრაზებული ვიქნები, აბა რა. ქალბატონ ია კერზაიასთან დაკავშირებით როგორც იქცევიან, ეს არის უნამუსობა.

ოპოზიცია განათლების მინისტრის გადადგომას ითხოვს

ნიკა მელია: „მიხეილ ბატიაშვილმა სკოლის დირექტორები მოგვისია“

შორენა მარსაგიშვილი

ზუგდიდის მე-6 სკოლის დირექტორ ია კერზაიას გარდაცვალების საქმეზე „ქართული ოცნება“ აუცილებლად აგებს პასუხს. საპარლამენტო ოპოზიცია ამ ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას განათლების მინისტრს აკისრებს და მის გადადგომას ითხოვს.

ოპოზიციამ საპრეზიდენტო არჩევნებს შეწირული სკოლის დირექტორის საკითხი პარლამენტშიც დააყენა, სადაც განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი დეპუტატების კითხვებს პასუხობდა.

კანონმდებლებთან შეხვედრაზე მინისტრი მომზადებული მივიდა. მან პარლამენტში სხვადასხვა სკოლის დირექტორები მიიყვანა, რომლებიც იმ დეპუტატების ხმის ჩახშობას ცდილობდნენ, რომელიც მათ უფროსს გაუჩმახებდა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ნიკა მელია, ფიქრობს, რომ ამის შემდეგ ბატიაშვილს აღარ აქვს უფლება, მინისტრი იყოს.

– 7 თებერვალს მომხდარმა ფაქტმა კიდევ ერთხელ დაარწმუნა საზოგადოება, რამდენად პოლიტიზებულია განათლების სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში ბატონი მიხეილი, რომელსაც ნამდვილად ვერ ვუწოდებ განათლების მინისტრს, ირწმუნება, რომ სკოლები და სასწავლო დაწესებულებები დეპოლიტიზებულია.

7 თებერვალს ია კერზაიას ტრაგიკული საქმის საპირწონედ აი, ამ ბატონმა კომიტეტის სხდომაზე მოქმედი სკოლის დირექტორები მოიყვანა, „ქართული ოცნების“ ჩვეულებრივი აქტივისტები, რომლებსაც ერთადერთი ფუნქცია ჰქონდათ, რომ როდესაც რომელიმე ოპოზიციონერი დაიწყებდა საუბარს, შეეწყვეტინებინა.

პოლიტიკური განცხადებები ისმოდა მოქმედი დირექტორებისგან – 9 წელი, 9 წელი... მოვინიშნე 49-ე და 180-ე სკოლის დირექტორები, რომლებიც მთელი სამი წლის განმავლობაში ცხრა წელზე საუბრობდნენ. თქვენ, ძვირფასო კოლეგებო, „ჩვენზე უკეთესებო“, რა არის ეს, ნორმალურია?! მათ ამ საქციელს მარიამ ჯაშისა და განათლების მინისტრის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. სამარცხვინო იყო ის, რაც ვიხილეთ.

შეგახსენებთ, სისტემამ იმსხვერპლა ია კერზაია. მას შემდეგ, რაც პირველ ტურში „ქართულმა ოცნებამ“ წააგეთ ზუგდიდი დაახლოებით 15.000 ხმით, ამის შემდეგ მიევლინა ბატონი გახარია მეორე ტურში და დაიწყო მაშინ რეპრესიები.

აღმოჩნდა მეექვსე სკოლის დირექტორი, ქალბატონი ია კერზაია, რომელიც არ ემორჩილებოდა მათ, თქვა, რომ აგიტაციაში არ ჩაერთვებოდა. ამის თაობაზე ქალბატონი კერზაია სიცოცხლეშივე საუბრობდა. ამის შემდეგ რაღაც ანონიმური წერილი დაიწერა, რამდენიმე საათში ამ ბატონმა, რომელსაც რატომღაც მინისტრს ვეძახით, პირადად ჩემთვის ჩვეულებრივი დამნაშავე ხართ, სპეცჯგუფი მიავლინა და სიკვდილამდე მიიყვანა ქალბატონი.

გადადექით, ბატონო განათლების მინისტრო, ვინც თქვენ ჯერ ისევ მინისტრს გეძახით, ეს ტვირთი მანამდე ვერ ჩამოგცილდებათ, სანამ მაგ სავარძელში ზიხართ, – განაცხადა მელიამ.

ნაციონალური მოძრაობის კიდევ ერთმა ლიდერმა რომან გოცირიძემ ია კერზაიას გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა განათლების მინისტრ მიხეილ ბატიაშვილს დააკისრა.

– ქალბატონი იას ტრაგიკულად დაღუპვა, რა თქმა უნდა, არ იყო ბატონი მინისტრის მიერ ორგანიზებული. მას დაავალეს და მან ძალოვნების დავალება შეასრულა, რომლებიც საარჩევნო პროცესებს აკონტროლებდნენ.

მინისტრი ამ დანაშაულის დაფარვას შეეცადა. ის მოხვდა პოლიტიკაში შემთხვევით. შემთხვევითი ადამიანები ამთავრებენ ძალიან ცუდად და ზიანს აყენებენ ქვეყანას, – აღნიშნა გოცირიძემ.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე მიიჩნევს, რომ განათლების მინისტრს

პოსტის დატოვება მეგობრებმაც უნდა ურჩიონ.

– ოპოზიცია კი არ უნდა ითხოვდეს თქვენს გადადგომას, მეგობრები უნდა გეუბნებოდნენ, რომ უნდა გადადგეთ, – ასე მიმართა მან ბატიაშვილს.

მიხეილ ბატიაშვილს კერზაიას საქმეზე პრეტენზიები „ევროპული საქართველოს“ კიდევ ერთმა ლიდერმა სერგო რატიანმა წაუყენა.

– აუდიტის სამსახურის უფროსი, რომელსაც არ დაუწყია გამოძიება

გაგრძელება მე-5 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მას თუ ჰგონია, რომ სამი გვრიტიშვილია ერთ იპოსტასში, ძალიან ცდება“

ლია მუხაშავრია: „მოსამართლეებმა იციან, რომ თუ ჩუმად იქნებიან, ყველაფერს მიიღებენ“

ნათია ხურცილავა

იურისტი, ადამიანის უფლებადამცველი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, მოსამართლეები არ ერიდებიან პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას. მაგალითად, მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი აცხადებს, რომ ის არა როგორც მოსამართლე, არამედ, როგორც თანამდებობის პირი საუბრობს, რომ სისტემა დაიცვას. სად გადის ეს ზღვარი?

– გვრიტიშვილი ალბათ მოვლენაა მსოფლიო სამოსამართლო ისტორიაში. როგორც წესი, ეთიკური მოსამართლეები თავს უფლებას არ აძლევენ, რომ ილაპარაკონ ხანდახან, როგორც მოსამართლეებმა და ხანდახან, როგორც მოქალაქეებმა. მოსამართლეობა და მით უფრო სამისდღემჩიო მოსამართლედ გამწესება მოსამართლეს უკრძალავს, გამოხატოს თავისი შეხედულება, მოსაზრება რაიმე სახის მიმდინარე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ზოგადად ქვეყანაში აქტუალურ პროცესზე, იმიტომ რომ მის მიერ გამოთქმული აზრის გამო შეიძლება მან საქმე ვეღარ განიხილოს.

გვრიტიშვილმა ეს რომ არ იცის, ერთი უბედურებაა, მაგრამ, ის რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია, ეს მეორე უბედურებაა. ამბობს, ჩემზე მოსამართლის ეთიკა არ ვრცელდება, რადგან საბჭოს წევრი ვარო, მაგრამ, მოსამართლე წევრი რომ არის, ეს ავიწყდება. ამიტომ არის განსხვავება მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის. მას აქვს სხვა უამრავი ბერკეტი, რომ დაიცვას მოსამართლეები.

მას თუ ჰგონია, რომ სამი გვრიტიშვილია ერთ იპოსტასში, მოსამართლე, მოქალაქე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ძალიან ცდება. როდესაც სახელმწიფო უშვებს ასეთი უცოდინარი და არაეთიკური მოსამართლის სამიდღემჩიო გამწესებას, მას მართლმსაჯულება არ აქვს.

– მოსამართლეებს, რომლებიც, იმავდროულად, თანამდებობაზე არიან, არც ერთი საქმე არ აქვთ განხილული. გამოდის, სამოსამართლო პრაქტიკაზე, თავიანთ პირდაპირ მოვალეობაზე უარს ამბობენ. ამ საკითხს როგორ არეგულირებს კანონი?

– ეს ადამიანები ჯერ არიან მოსამართლეები და შემდეგ – თანამდებობის პირები, მაგალითად, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი და ა.შ. პირველ რიგში, ისინი მოსამართლეები არიან. სწორედ ამ მოვალეობაზე, მათ პროფესიაზე ამბობენ უარს, როდესაც ამ ხნის განმავლობაში არც ერთი საქმე არ აქვთ განხილული და არც ერთი დასკვნა არ აქვთ დაწერილი.

თუკი სადმე ეს კანონში არ წერია, პირდაპირ კანონმდებელმა არ დაუშვა, რომ შეიძლებოდა, ასეთი უვიცი მოსამართლეები გვყოლოდა, რომ პირდაპირ ჩაეწერა, მოსამართლემ თავის მოვალეობაზე უარი არ უნდა თქვას და რომ მოვალეობა უნდა აღასრულოს. მეტიც, წარმატებული მართლმსაჯულების ქვეყნებში მოსამართლეები თავად ქმნიან კანონს და კანონის განმარტებას აკეთებენ.

– ამბობენ, რომ 280 მოსამართლე ერთ აზრზეა და ყველა იზიარებს მათი ლიდერების პოზიციას. მართლაც ასეა თუ განსხვავებული აზრი არის, მაგრამ მისი გამოთქმის ეშინიათ?

– არა, მე ეს ინფორმაცია ნამდვილად არ მაქვს. ერთი-ორჯერ ვიყავი მოსამართლეთა კონფერენციაზე მიწვეული და შესვენებაზე მოსამართლეები ვერც კი მეკარებოდნენ დერეფანში, ცხადია, მათ ეშინიათ.

კონფერენციის დასრულების შემდეგ ეზოში, მანქანასთან თუ გვქონდა კომუნიკაცია. ეს ადამიანები ძალიან დაშინებული არიან და კარგად ხვდებიან, თუ რას ნიშნავს სამიდღემჩიო მოსამართლეობა, სამუდამო მოსამართლის იმუნიტეტით აღჭურვა, ეს მათ კარგად ესმით და იციან.

ყველამ იცის, რომ მეამბოხედ ყოფნა სასამართლოს მიღმა დარჩენას ნიშნავს, თუ ჩუმად იქნები და დუმილის უფლებას გამოიყენებ, მაშინ ყველაფერს მიიღებ. ამიტომ ამ ადამიანებს ჩუმად ყოფნა უღირთ.

– თუნდაც კარიერული წინსვლის სანაცვლოდ?

– რა თქმა უნდა! თუ ხმას ამოიღებ, მაშინ კაშკაშა ვარსკვლავი უნდა იყო, როგორც იურისტი და საზოგადოების თვალში აბსოლუტურად შეუბღალავი ბიოგრაფია უნდა გქონდეს.

ჩვენდა ჭირად, ასეთი მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალები არ გვყავს. ამიტომაც გასაგებია ის, რაც ხდება. ამ მოსამართლეებს ერთი ისეთი საქმე მაინც აქვთ განხილული, რომელზეც მათ ეშინიათ, რომ ვინმე პასუხს მოსთხოვს.

– ლევან მურუსიძე ამბობს, რომ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე არ უნდა იყოს დამაბრკოლებელი გარემოება ამ მოსამართლეებისთვის. მას მოჰყავს ინგლისის, იტალიის მოსამართლეების გადაწყვეტილებები, რომლებზეც არის სტრასბურის გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ იქ თავში აზრად არავის მოუვა, რომ ამ მოსამართლის კეთილსინდისიერება კითხვის ქვეშ დააყენოსო. ეს რამდენად არის არგუმენტი?

– ჩვენ თავი რომ შევადაროთ სხვა პლანეტისა და სხვა გალაქტიკის ჰუმანოიდებს, დაახლოებით ისეთი ამბავია.

როდესაც მურუსიძეს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო პირდაპირ უთითებს, მაგალითად, მოლაშვილის საქმეზე დარღვევას, ამაზე რა უნდა ვთქვათ?! კოხრეიძე-რამიშვილის საქმეზე სტრასბური პირდაპირ ამბობს, რომ მოსამართლე ვერ უზრუნველყოფდა წესრიგს სხდომათა დარბაზში. როდესაც ასეთ დარღვევებზე უთითებს სასამართლო, ამაზე პასუხი რა უნდა იყოს?!

ასეთი მოსამართლე მინიმუმ რაღაცით ხომ უნდა იყოს პასუხისმგებელი, როდესაც საქმეს აგებს სახელმწიფო?! გამოძიებაში, პროკურატურაში შეიძლება იყოს დარღვევები, მაგრამ სასამართლოში?! აქ სამი ინსტანცია არსებობს, რომ არ გაძვრეს, არ გაიპაროს რაიმე სახის დარღვევა.

უამრავი საქმეა გასაჩივრებული ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში, სადაც ჯერ განაჩენი არ დამდგარა. ესენი ახლა ამ დამოკიდებულებით იმის პრევენციასაც ახდენენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამ მოსამართლეების გადაწყვეტილებებზეც გამოვა ევროსასამრთლოს გადაწყვეტილება.

არადა, სწორედ ეს არის ერთადერთი რეალური საფრთხე. ეს შეიძლებოდა, კანონში ჩაგვეწერა. არის ქვეყნები, სადაც, თუ დაადგენს ევროსასამართლო დარღვევას, საქმის მოსამართლე ფინანსურად ანაზღაურებს ამას.

გულიკო ბალაძე

„მურუსიძემ დაანახა თავისი ძალაუფლება, რომ მოსამართლეების განკარგვა შეუძლია“

სასამართლოში უზარმაზარი პრობლემები გვაქვს. რამდენიმე კრება ჩატარდა. სასამართლო დამოუკიდებელი აღარ არის. მათ მიმართ საზოგადოებაში ნდობა არ არის. სასამართლო ითხოვს გაჯანსაღებას. ამიტომ უნდა შეჩერდეს უვადოდ დანიშვნის პროცესი და შემუშავდეს კრიტერიუმები. იუსტიციის საბჭოში კლანია. რაც უნდა კარგი კანონი დაუწერო, განწირულია.

უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე თამარ ლალიაშვილი „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ დღეს სასამართლოზე შტურმი კი არ ხორციელდება, არამედ ძალიან ბევრი სასამართლო პროცესი იმართებოდა და ადამიანებმა სამართალი ვერ იპოვეს.

– ძალიან ბევრი სასამართლო პროცესი იმართებოდა, სადაც ადამიანებმა სამართალი ვერ იპოვეს. რატომ არის დღეს პარლამენტის წინ კარავი გაშლილი? ადამიანები სამართალს ეძებენ, კანონიერებას ეძებენ. ე.ი. დარღვევები ხდება, მაგრამ სამართალი ვერსად იპოვეს, ამიტომ გამოსავალს ეძებენ. გვრიტიშვილი, მურუსიძე და ჩინჩალაძე კი თავიანთ შექმნილ სისტემას იცავენ, კორუფციაში არიან ჩაფლული და კორუფციას იცავენ, – აცხადებს თამარ ლალიაშვილი, რომელმაც სამართალი სტრასბურში იპოვა.

– ქალბატონო თამარ, პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლოზე შტურმი და რევანში ხორციელდება. ამ განცხადებიდან რა შთაბეჭდილება დაგრჩათ? რეალურად, სასამართლოზე შტურმი, შეტევა ხორციელდება?

– სასამართლოზე შტურმი კი არ ხორციელდება, შტურმი ხორციელდება იმაზე, რომ მთლიანად საკანონმდებლო ბაზა და პროცედურები არ არის დახვეწილი. შესაბამისად, მოსამართლეთა (განსაკუთრებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა) შერჩევის წინაპირობები არც იყო და არც არის კანონში გაწერილი.

სწორედ ამ კუთხითა და იმ რეალური ვითარების გამო მიმდინარეობს დავა, შეიძლება თუ არა, უვადოდ გადაინიშნონ ის მოსამართლეები, რომლებიც მუდმივად, წლების განმავლობაში (თვითონვე აღიარებენ და არ უარყოფენ) იყვნენ წინა ხელისუფლების მარწუხებში და მათ დავალებებს ასრულებდნენ.

– ანუ შინაგანი დამოუკიდებლობა არ გააჩნიათ?

– დიახ. არიან მოსამართლეები, რომლებსაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, შინაგანი დამოუკიდებლობა, პერსონალური დამოუკიდებლობა არ გააჩნიათ. ამაზე ხორციელდება შეტევა. ამ პროცესმა ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო ხელისუფლების გაჯანსაღებას, გამოჯანმრთელებასა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას. ეს სასამართლო ხელისუფლების დაცვაა და არა შეტევა სასამართლო ხელისუფლებაზე.

პირიქით, საზოგადოება იცავს სასამართლო ხელისუფლებას და დიდი გულისწყრომით ამბობს, რომ არ შეიძლება, წლების განმავლობაში რეჟიმის მორჩილებაში მყოფი ადამიანები, რომლებიც კანონს მუდმივად არღვევდნენ, პირდაპირი მნიშვნელობით სიცოცხლის უფლებას ურღვევდნენ ადამიანებს და გვამებზე დადიოდნენ, ეს ადამიანები დღეს კარგები გამხდარიყვნენ. უკვე გავიარეთ ეს გამოცდა. მათ არ აქვთ ნებისყოფა, ვერ უძლებენ და, შესაბამისად, მორჩილებაში იმყოფებიან, ანუ ისინი ვერ აკმაყოფილებენ მთავარ კრიტერიუმს, რომელიც ნიშნავს, რომ ეს ადამიანები პიროვნულად, პერსონალურად უნდა იყვნენ დამოუკიდებელი. ამიტომ ისინი ვერ არიან დამოუკიდებლები.

– კი მაგრამ, პარლამენტის თავმჯდომარემ ისიც განაცხადა, მართალია, მოსამართლეები დანაშაულებრივ საქმიანობაში იყვნენ ჩართული რეჟიმთან ერთად (როგორც თქვენ განაცხადეთ, ადამიანებს სიცოცხლის უფლებას ურღვევდნენ), ანუ ბევრ ცუდ გადაწყვეტილებას იღებდნენ, მაგრამ ახლა ბევრ კარგ გადაწყვეტილებას იღებენო. ეს რას ნიშნავს?

– ვერანაირად ვერ ვიტყვი, რომ ახლა ის მოსამართლეები, რომლებიც ცუდ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ახლა კარგ გადაწყვეტილებებს იღებენ. მე ასეთი სტატისტიკა არ მაქვს და ვერ გეტყვით, უშუალოდ ეს მოსამართლეები დღეს რა გადაწყვეტილებებს იღებენ. ფაქტია, რომ ეს მოსამართლეები წნეხს ვერ უძლებენ. ამით პარლამენტის თავმჯდომარემ რეალურად თქვა, ჩვენ ახლა თავისუფლებაში გვყავს მოსამართლეები, თავისუფლება მივეცით და კარგ მოსამართლეებად იქცნენო. თუმცა, ეს ავტომატურად მეორეს ადასტურებს – როგორც კი მათზე წნეხი განხორციელდება, ისინი ისევ დაემორჩილებიან ხელისუფლების წნეხს, როგორც მაშინ ემორჩილებოდნენ.

– ეს იმთავითვე ცხადია?

– რა თქმა უნდა. თანაც გადაწყვეტილებებიც სადავოა, რომელზეც ახლა საუბრობენ. მაშინ ის გადაწყვეტილებები საჯაროდ უნდა გამოვიდეს. ძალიან ბევრი სასამართლო პროცესი იმართებოდა, სადაც ადამიანებმა სამართალი ვერ იპოვეს. დღეს პარლამენტის წინ კარვებია გაშლილი. რატომ არის პარლამენტის წინ კარავი გაშლილი? ადამიანები სამართალს ეძებენ, კანონიერებას ეძებენ. ე.ი. დარღვევები ხდება, მაგრამ სამართალი ვერსად იპოვეს. ამიტომ გამოსავალს ეძებენ. რაღაც მაგალითები აქვთ ამ ადამიანებს და სწორედ ამიტომ დგანან პარლამენტის წინ.

– კობახიძის ლოგიკით, იყო ბევრი ცუდი ქეისი, ახლა არის ბევრი კარგი ქეისიო. ეს დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართულ მოსამართლეებს ამართლებს?

– არ ვიცი, კობახიძე რა კარგ ქეისზე საუბრობს. მე, მაგალითად, არ ვიცი, რას ნიშნავს კარგი ქეისი და რას ნიშნავს ცუდი ქეისი. მთავარია, მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი. მოსამართლე იმაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მასზე პოლიტიკური წნეხი განხორციელდება და დაემორჩილება თუ მასზე პოლიტიკური წნეხი არ განხორციელება, არ დაემორჩილება და თავისუფალ გადაწყვეტილება მიიღებს. ჩატარდეს სტატისტიკური გამოკითხვა და ვნახოთ. ძალიან საინტერესო იქნება ადვოკატთა პოზიციები. მე ბევრი ადვოკატისაგან მსმენია, ისევ ისეთი სიტუაციაა, სამართალს ვერ ვპოულობთო. ზოგი ამბობს, რაღაც ნაწილში სასამართლო თავისუფალიაო.

მთავარი ის არის, რომ ეს ადამიანები ვერ იქნებიან დამოუკიდებელნი, როგორც კი მათზე წნეხი განხორციელდება. მე მახსოვს, იყო გარკვეული საქმეები, მაგალითად, ტრაქტორების საქმე (სანამ ჩარევა არ მოხდა...), კაბელების საქმე, რომელზეც დიდი პრობლემები იყო. იგივე ჭიდაობის ფედერაციაში დაპირისპირების საქმე რომ არის, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი სასამართლომ თანამდებობიდან არ გაათავისუფლა. სტატისტიკურად შეამოწმეთ, რამდენი საქმეა, სადაც ძალადობას რომ ჩაიდენს ვინმე ელემენტარულ თანამდებობაზე მყოფი პირი, თანამდებობაზე რომ რჩება.

– ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი თანამდებობიდან უნდა გაეთავისუფლებინათ?

– ელემენტარულად, იმ წუთში ხდება პირის თანამდებობიდან ჩამოცილება, ძალადობა განხორციელდა, ხომ? მე, მაგალითად, კითხვის ნიშნები მიჩნდება, ასეთ შემთხვევაში სასამართლო თავისუფალია? ძალიან ძნელია თქმა.

– თქვენ ძალიან კარგად იცით, რა ხდებოდა სააკაშვილის დროს სასამართლოებში. თქვენ ხართ მსხვერპლი იმ რეჟიმისა, რომელსაც არ დაემორჩილეთ და გაგათავისუფლეს. ის ფაქტი, რომ მოსამართლეები დანაშაულებრივ საქმეებში იყვნენ ჩართული, მაგრამ ახლა ამბობენ, რომ გამოსწორდნენ, პატიებასა და მეორე შანსის მიცემას იმსახურებს?

– ჩემი გამოგონილი არ არის და ევროპული სტანდარტია, როდესაც პირს მოსამართლის თანამდებობაზე ამწესებ, ის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმით უნდა შემოწმდეს, არის თუ არა პირი შინაგანად, პიროვნულად და პერსონალურად დამოუკიდებელი. თუ მოსამართლეს ეს თვისება არ გააჩნია, ის არ შეიძლება, გამწესდეს. თუ პირზე გავლენა შეიძლება მოახდინოს რაღაც

გაგრძელება მე-4 გვერდზე

დიმიტრი შაშკინი: „ია კერზაიას ტრაგედია ჩემს დროს რომ მომხდარიყო, შენობიანად გამიტანდნენ“

„განათლების მინისტრისგან რამდენიმე სადღეგრძელო მოვისმინეთ, კონკრეტიკა არ ყოფილა“

იაგო ნაცვლიშვილი

განათლების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი პარლამენტში იმყოფებოდა, რომელიც დეპუტატების კითხვებზე პასუხობდა განათლების სფეროში დაგეგმილ ცვლილებებსა და სხვა აქტუალურ საკითხებზე. მინისტრისგან ვერ მოვისმინეთ კონკრეტული ხედვები, თუმცა იყო რამდენიმე პასაჟი.

დაინახა თუ არა რაიმე სიახლე და დამაჯერებელი არგუმენტები მინისტრის გამოსვლაში ან ხომ არ დაიწყებს ბრძოლას მიხეილ ბატიაშვილის წინააღმდეგ? – ამ საკითხებზე „ახალი თაობასთან“ ინტერვიუში განათლების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი საუბრობს:

– განათლების მინისტრი იმყოფებოდა პარლამენტში. მის გამოსვლაში თქვენთვის თუ იყო რამე სიახლე? რამე დამაჯერებელი არგუმენტი თუ მაინც მოისმინეთ მისგან განათლების სისტემაში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით?

– სამწუხაროდ, მოლოდინიც ასეთი მქონდა, რომ ვერაფერს მოვისმენდი. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ეს მოლოდინი გამართლდა. არა მარტო მე, არამედ საზოგადოებამ მოისმინა რამდენიმე სადღეგრძელო, რამდენიმე ლამაზი ფრაზა. მაგალითად, ის, რომ სკოლა უნდა იყოს ძლიერი. მაგრამ ამაზე არ ყოფილა წარმოდგენილი არანაირი კონკრეტიკა, არანაირი რეალური ხედვა. იყო დაპირება, რომ მაისში კიდევ რაღაცას გვეტყვიან.

ანუ რა მოლოდინიც იყო, იგივეა. ეს ხომ „ქართული ოცნების“ საფირმო ნიშანია, მაღალი ფრაზები და ნულოვანი კონკრეტიკა, ასევე საქმე, რომელიც აბსოლუტურად განსხვავდება სადღეგრძელოებისა და მაღალი ფრაზებისგან.

– განსაკუთრებული არაფერი უთქვამს, მაგრამ რაღაცები მაინც გააჟღერა. მაგალითად, მან თქვა, რომ უფასო ფაკულტეტები გაუქმდება. სწორია ეს მიდგომა?

– უნდა შეგახსენოთ, რომ უფასო ფაკულტეტები შემოიღო „ოცნების“ ხელისუფლებამ. ამ დიდ უსამართლო პროგრამაზე 7 წლის განმავლობაში 100 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. როდესაც განათლების მინისტრი ამბობს, რომ ეს უნდა შეიცვალოს და უფასო ფაკულტეტები უნდა გაუქმდეს,

როგორც მინიმუმ, უნდა თქვას, რომ ეს იყო შეცდომა. როგორც მინიმუმ, პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს იმის, რაც ამ შეცდომას მოჰყვა.

100 მილიონზე მეტი დაიხარჯა. ეს იყო საკმარისი თანხა, რომ სტატუსშეჩერებული ყველა სტუდენტისთვის სახელმწიფოს გადაეხადა სრული გრანტი და მათ დაემთავრებინათ უნივერსიტეტი. ეს ფული, ბუნებრივია, წავიდა უნივერსიტეტების ჯიბეებში.

– სტატუსშეჩერებულ სტუდენტებზე ისაუბრა მინისტრმა და თქვა, რომ მათი რაოდენობა ძალიან მაღალია.

– სტატუსშეჩერებული სტუდენტების ოდენობა ახლა 8-ჯერ მეტია იმაზე, ვიდრე ეს იყო ჩემი მინისტრობის დროს – 2012 წელს.

– როგორ ფიქრობთ, რატომ?

– ბევრი მიზეზი აქვს. ხალხი გაღარიბდა, პროდუქტები გაძვირდა. ბუნებრივია, ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ის, რომ ხალხი უფრო მეტს ხარჯავს კვებაზე და შვილებისთვის განათლების მისაღებად ფული არ რჩება. „ქართულ ოცნებას“ რაიმეს სტრატეგიული ხედვა არა ახასიათებს. იმდენად მცდარ და გაუგებარ ეკონომიკურ თეორიებზე დაფუძნებულ რაღაცებს აკეთებენ ეკონომიკაში, რომ ამის ანალიზი ძალიან რთულია. მე არც ერთ ქვეყანაში არ გამიგია, რომ გაამართლოს ამ მიდგომებმა. მაგალითად, სიგარეტზე ფასის ზრდამ მწეველთა რაოდენობის კლება გამოიწვიოს. ასეთი რამე ეკონომიკაში არ ხდება. ამას გეტყვით მაკროეკონომიკის ნებისმიერი სპეციალისტი. თუ სიგარეტზე ფასს გაზრდი, ადამიანი არ მოწევს, ეს არარეალური რაღაცაა. წავა, უფრო ძვირს გადაიხდის და ოჯახს ნაკლები ფული დარჩება ან უფრო დაბალი ხარისხის სიგარეტზე გადავა. ეს არის მისი ფსიქოლოგიური მოთხოვნილება მოწევის მიმართ და არა რაციონალური გადაწყვეტილება.

ამიტომ, ბუნებრივია, პირველი მიზეზი ეკონომიკიდან გამომდინარეობს. მეორე, ეს არის საკმაოდ რთული პრობლემა დასაქმებასთან დაკავშირებით, რაც ამ მთავრობის ხელში კიდევ უფრო გაუარესდა და მისი სტრატეგიული გადაჭრის გზები არ ჩანს. ამას შეგიძლიათ ის ფაქტიც დაამატოთ, რომ ბევრი ადამიანი იძულებულია, ქვეყნიდან გავიდეს და საზღვარგარეთ იშოვოს სამსახური, მაგალითად, ტაქსისტად იმუშაოს პოლონეთში და, ბუნებრივია, ის გააგრძელებს სწავლას. სტატუსშეჩერებულ სტუდენტებთან დაკავშირებული პრობლემების 99% ფინანსებთან არის დაკავშირებული.

– როდესაც ვმსჯელობთ უფასო ფაკულტეტების გაუქმებაზე, ხომ არ გადატყდება ჯოხი მხოლოდ მაშინდელ მინისტრ გიორგი მარგველაშვილზე, რომელმაც მისი შემოღების გადაწყვეტილება მიიღო? დღეს „ოცნება“ მასთან დაპირისპირებულია და ხომ არ გამოიყენებენ პოლიტიკური მიზნებისთვის მის წინააღმდეგ?

– მარგველაშვილის შემდეგ, თუ არ ვცდები, 3 მინისტრი შეიცვალა და ბატიაშვილი უკვე მეოთხეა მარგველაშვილის შემდეგ. პრობლემაც მაგაშია, რომ მარგველაშვილის შემდეგ არავინ არ მოითხოვა და არ გადახედა ამ რეალურ პრობლემას. ჩვენ ამაზე ვსაუბრობდით და ძალიან ბევრი ადამიანი მიუთითებდა, რომ პრობლემა არის.

უფრო სიღრმისეული პრობლემა ძალიან შორს წაგვიყვანს. თუ სტატისტიკას გადახედავთ, დაინახავთ, რომ ქვეყანაში ამ უფასო ფაკულტეტების შექმნის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა სტუდენტების რაოდენობა 26 წლის ზემოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ მეორე განათლების მიღება დაიწყეს. ეს იმიტომ, რომ ეს არის უფასო, პარალელურად მამაკაცებს ათავისუფლებს ჯარიდან და რატომაც არა. ამავდროულად, ეს ფული დააკლდათ იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც პირველი განათლებაც კი ვერ მიიღეს, რადგან ფული არ აქვთ.

უფასო ფაკულტეტების იდეაა, რომ უნივერსიტეტებს მისცე ფული და მან გახსნას უფასო ფაკულტეტები. არის რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლის ბიუჯეტი 100 მილიონს აღემატება, მაგრამ, სამწუხაროდ, არანაირ სოციალურ პროგრამას არ ახორციელებენ და გაჭირვებულ სტუდენტებს არაფრით არ ეხმარებიან.

– კიდევ ერთი საკითხი იყო ზუგდიდის სკოლაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, როდესაც სკოლის დირექტორი ია კერზაია გარდაიცვალა. ამაზე თუ მიიღეთ პასუხი და ხომ არ ფიქრობთ, რომ მინისტრის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს ამ ფაქტის გამო?

– ფაქტია, რომ მოხდა უდიდესი ტრაგედია იმის გამო, რომ მან უარი თქვა პოლიტიკაში ჩართვაზე, ანუ ის აკეთებდა თავის საქმეს და აკეთებდა ძალიან კარგად. მან უარი თქვა პოლიტიკაში ჩართვაზე და ამის გამო დასჯილი იყო შიდა აუდიტის გამო, რამაც მისი გარდაცვალება გამოიწვია. მაგიდაზე დევს ეს საქმე. ჩანს, რომ ყალბი წერილი იყო შემოსული. ჩანს, რომ ყალბი წერილის საფუძველზე შევიდა სკოლაში შიდა აუდიტი, ქალბატონი ტერორის ქვეშ მოაქციეს და ის გარდაიცვალა. ბუნებრივია, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მინისტრს, იმიტომ, რომ შიდა აუდიტი პირადად განათლების მინისტრს ექვემდებარება. როგორც მინიმუმ, ჩვენ ვერ დავინახეთ შეწუხება მინისტრის სახეზე ამ ფაქტის გამო. შეგიძლიათ, ერთი წამით წარმოიდგინოთ, რომ ასეთი ფაქტი მომხდარიყო მაშინ, როდესაც მე ვიყავი განათლების მინისტრი?! შენობიანად ხომ გამიტანდა ამ ქვეყნიდან ის ხალხი, ვინც დღეს პარლამენტში ზის.

– კიდევ ერთი საკითხი ეს იყო ზოგად უნარებთან დაკავშირებით და თქვა, რომ ზოგადი უთანასწორობა ვერ აღმოფხვრა და უთანასწორობაა დედაქალაქსა და რეგიონებს შორის. რა პასუხი გაქვთ?

– ეს არის მხოლოდ ფრაზები. ბუნებრივია, ამაზე არანაირი სტატისტიკური ინფორმაცია არ არსებობს. მე ვარ ადამიანი, რომელიც ამ ქვეყანაში განათლების მინისტრის თანამდებობაზე ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი დროით ვიყავი. პრაქტიკოსი მენეჯერი ვარ და ვიცი, სისტემაში როგორც არის. ეს არ არის სიმართლე. ზუსტად უნარები გვაძლევდა შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო თანასწორობა, იმიტომ, რომ უნარებით იყო გადანაწილებული გრანტი. ნებისმიერი პროფესიონალი, ვისაც ამ საკითხთან შეხება აქვს, გეტყვით, რომ უნარებში მომზადება შეუძლებელია. ბავშვებს ჰკითხეთ, ვინც ემზადებიან უნარებში. ეს მომზადება გამოცდაში კი არ არის, არამედ მეთოდოლოგიაშია. მშობელს თუ აქვს ფული, ის, ბუნებრივია, ცდილობს, თავის შვილს კარგი პირობები შეუქმნას. არც ერთი ბავშვი არ ემზადება უშუალოდ უნარებში. თუ ვინმეს ამის სჯერა, ეს დიდი შეცდომაა. კი, არსებობს წიგნები, სადაც მეთოდოლოგიაზეა საუბარი. შინაარსობრივად არ ემზადებიან.

– ბოლოს შეაფასეთ დეპუტატების შეფასებები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს ცვლილებები განათლების სისტემაში მისაღებია და ა.შ. ეს თქვენთვის რაზე მიანიშნებს?

– აზრზე არ არიან, რას აკეთებენ თვითონ. ძალიან სამწუხაროა, რომ არც ერთი ადამიანი არ გამოჩნდა, რომელმაც გულთან მიიტანა ბავშვების მომავალი და არა თავისი პოლიტიკური ინტერესები. ეს ძალიან სამწუხაროა. იმიტომ, რომ ბავშვების მომავალზე მნიშვნელოვანი არაფერია.

– მწავავედ აკრიტიკებთ ბატიაშვილს. აპირებთ, რომ რაიმე ქმედება განახორციელოთ, რათა მან დატოვოს განათლების მინისტრის თანამდებობა?

– ეს არ არის მხოლოდ და მხოლოდ ბატიაშვილის პრობლემა. ბატიაშვილი არის იმ ხელისუფლების პროდუქტი, რომელიც მართავს ხელისუფლებას. „ოცნების“ პირობებში განათლების მეხუთე მინისტრია. ერთი ვაშლებს არიგებდა, მეორე უფასო ფაკულტეტებს ქმნიდა და ა.შ. პრობლემა ერთ ადამიანში არ არის. პრობლემა არის ის გუნდი, რომელიც ქვეყანას მართავს და ის არის დამოკიდებული ერთ ადამიანზე. ეს ადამიანი არის ამ ქვეყნის არაფორმალური მმართველი, როდესაც შენ ერთ ადამიანზე ხარ დამოკიდებული და არც ქვეყანა გაინტერესებს და არც არაფერი და მხოლოდ ის გაინტერესებს, რომ სავარძელში იჯდე, ამით არაფერი გამოვა.

„მურუსიძემ დაანახა თავისი ძალაუფლება, რომ მოსამართლეების განკარგვა შეუძლია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ძალამ, საზოგადოებამ და შეიძლება, დაექვემდებაროს მათ ნებას, არ შეიძლება, ის გამწესდეს მოსამართლედ.

ამ მოსამართლეებმა ეს გამოცდა ვერ ჩააბარეს. ისინი აბსოლუტურად მორჩილები არიან. ახალ პირობებში მათი გადანიშვნა დაუშვებელი იყო, რადგან მთავარ კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებდნენ.

– კობახიძე თავისი განცხადებებით იმას ხომ არ ამბობს, რომ საკაკაშვილს „კარგი მოსამართლეების“ შერჩევა შესძლებია, ხოლო ამ ხელისუფლებას მოსამართლეების შერჩევა არ შეუძლია? რატომ არის აუცილებელი, მაინცდამაინც საკაკაშვილის მოსამართლეები გადაინიშნონ, მით უფრო, რომ მათ თავიანთი მოსამართლეობის ვადა ამოწურეს?

– კლანის პრინციპი მოქმედებს. ახლახან მოსამართლეების შეკრებით მურუსიძემ კიდევ დაანახა თავისი ძალაუფლება, თქვა, რომ მოსამართლეების განკარგვა შეუძლია, ძალიან მარტივად გავლენას მოვახდენ მოსამართლეებზეო. ეს იყო ფაქტი. მან საზოგადოებას კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ სასამართლოში კლანური მმართველობაა. ის მოსამართლეები, რომლებიც ამას არ ემორჩილებიან, დუმილს ამჯობინებენ, რადგან რეპრესიული ღონისძიებები, შეიძლება, განხორციელდეს, როგორც თავის დროზე ჩვენ მიმართ განხორციელდა. მურუსიძე თავისი განცხადებებით ამბობს, მოსამართლეთა დიდი ნაწილი ჩემ ხელთაა, ნებისმიერ დაკვეთას მივიღებ და განვახორციელებო.

– ანუ ადრე მოსამართლეები საკაკაშვილის რეჟიმის ზეწოლის ქვეშ იყვნენ, ახლა მურუსიძის კლანის ზეწოლის ქვეშ არიან?

– რა თქმა უნდა. ხომ ხედავთ, როგორ იმუქრებიან? სასამართლო ხელისუფლება ერთი ადამიანის ხელშია, რაც ყოვლად დაუშვებელია. სასამართლო უნდა იყოს ერთიანი, მაგრამ არა კლანურად გაერთიანებული. კვლევა რომ ჩატარდეს, გამოჩნდება, რომ ყველა მოსამართლეს, რომელიც ხელმეორედ დაინიშნა, კავშირი აქვს კლანთან. თუ რაიმე შემხებლობა არ ექნებათ. თანამდებობაზე არ ინიშნებიან. სააკაშვილის დროს ვინ მართავდა სასამართლოს? სასამართლოს მართავდა ჩინჩალაძე-მურუსიძეების მეშვეობით.

– მაშინ, ისე გამოდის, რომ დღესაც ადეიშვილი მართავს სასამართლოს, რადგან ჩინჩალაძე ადეიშვილის კადრი და დეიდაშვილია.

– დღეს სასამართლოს ადეიშვილი არ მართავს, მაგრამ ადეიშვილის მართვის სქემაა დარჩენილი. არ არის გამორიცხული, ხვალ თუ მოძლიერდება ნაცმოძრაობა და ადეიშვილები შეძლებენ ჩამოსვლას და ძალაუფლების ხელში ჩაგდებას, ეს მოსამართლეები გააგრძელებენ თანამშრომლობას მესამე ხელისუფლებასთან. გვარებსა და სახელებს მნიშვნელობა არ აქვს, ისინი ხელისუფლებას ეუბნებიან, ჩვენ მზად ვართ თქვენთან სამსახურისთვისო, ანუ სასამართლო რეალურად კარგავს თავის დანიშნულებას.

თუ სასამართლო დამოუკიდებელი არ იქნება, სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპი ირღვევა. უკვე კითხვის ნიშნები ჩნდება. რაღა დემოკრატიასა და თავისუფლებაზეა იქნება საუბარი, როცა მე სასამართლოში სამართლის პოვნას ვერ ვახერხებ და უფლებები მერღვევა.

– ბოლო დროს იუსტიციის საბჭოს მოსამართლე წევრი გვრიტიშვილი, ფაქტობრივად, ტელევარსკვლავად და დღევანდელი სასამართლოს დიდ დამცველად იქცა. რა ლოგიკურ ზღვრებში ექცევა მისი განცხადებები?

– გვრიტიშვილი იქნება, მურუსიძე თუ ჩინჩალაძე, ისინი თავიანთი აშენებული სისტემის დაცვას ყოველთვის შეეცდებიან. ისინი კორუფციაში არიან ჩაფლული, კორუფციას იცავენ. ძალიან მარტივია, რომ ისინი თავიანთ პოზიციას იცავენ. მათ არ აინტერესებთ არც საზოგადოება, არც ქვეყანა. სულ არ აინტერესებთ სასამართლო ხელისუფლების გაჯანსაღება.

– ბოლო პერიოდში სასამართლოსთან დაკავშირებით მმართველი ძალის პოლიტსაბჭოს განცხადება გავრცელდა. სწორედ იმ განცხადებაში იყო საუბარი, რომ არ დაუშვებენ სასამართლო დამოუკიდებლობის შეზღუდვას.

– სად გვაქვს დამოუკიდებელი სასამართლო? ცუდი რა არის, იცით? ძალიან კარგად იციან, რასთან აქვთ საქმე. როდესაც პოლიტიკოსი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის განვითარებაზე, კანონიერებაზე, კანონის უზენაესობაზე, საკუთარი თავის მოტყუებას იწყებს და ამბობს, რომ სასამართლო დამოუკიდებელია, ასეთი ტყუილი კარგს არაფერს მოუტანს არც ქვეყანას, არც ხელისუფლებასა და არც – სასამართლოს.

თვითონაც ამბობენ, რომ არ არიან პრინციპული, დამოუკიდებელი და მაინც ვეუბნებით, დამოუკიდებელი ხარო. როდესაც მურუსიძე ამბობს, მე რომ გამეხადა მანტია, სხვა მოვიდოდა და სხვა მურუსიძე ჩაიცვამდაო, ამით ამბობს, საზოგადოების 80% ჩემნაირიაო. ამით ხელისუფლებასაც ეუბნება, ჩემნაირი ხარ და ჩემზე აჟიოტაჟს რატომ ტეხთ, მერე რა მოხდა, რა გიკვირთ, რომ ასეთი ვარო. მე თუ გამიშვებთ, ისევ ჩემნაირი მოვა, რადგან თქვენ ხართ ასეთიო.

– პარლამენტში ბესელია-ფოფხაძის ჯგუფმა მოსამართლეების უვადოდ დანიშვნაზე მორატორიუმის შესახებ კანონპროექტი დაარეგისტრირა, რაზეც მიქაუტაძემ განაცხადა, ეს კონსტიტუციას ეწინააღმდეგებაო.

– ჩვენ უნდა ამოვიდეთ იმ ვითარებიდან, რომელიც გვაქვს. სასამართლოში უზარმაზარი პრობლემები გვაქვს. რამდენიმე კრება ჩატარდა. სასამართლო დამოუკიდებელი აღარ არის. მათ მიმართ საზოგადოებაში ნდობა არ არის. სასამართლო ითხოვს გაჯანსაღებას. ამიტომ უნდა შეჩერდეს უვადოდ დანიშვნის პროცესი და შემუშავდეს კრიტერიუმები. იუსტიციის საბჭოში კლანია. რაც უნდა კარგი კანონი დაუწერო, განწირულია.

დავით ქაცარავა: „რუსეთი ხაშურის ტყეების მიტაცებას აპირებს“

ნონა ცაბაძე

მიმდინარეობს თუ არა ახალი ტერიტორიების ოკუპაცია, რა ხდება ხაშურის რაიონის სოფლებში და ჩორჩანის ტყეში? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს სამოქალაქო მოძრაობის „ძალა ერთობაშია“ ლიდერი დავით ქაცარავა პასუხობს.

—პატონო დავით, რა ხდება ხაშურის რაიონის სოფლებში?

– ამბავი არ დაწყებულა გუშინ, გუშინწინ ან თუნდაც ორი-სამი კვირის წინ. 2018 წლის ივნისში ჩვენი მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ ჩავიდა სოფელ აბანოში, რომელიც ესაზღვრება ამ ტყეებს და საბადოებს და 3 თვის განმავლობაში 24– საათიან პატრულირებას აწარმოებდა.

— რატომ ჩახვედით სოფელ აბანოში?

– იმიტომ, რომ ოსური მხარის ე.წ. პარლამენტში შეიქმნა ტერიტორიების დაბრუნების საპარლამენტო კომისია, რომელიც განიხილავდა ამ ტერიტორიების, ჩორჩანის ტყისა და ჩორჩანის ტყეში მდებარე ტალკის საბადოებისა და სოფელ აბანოში მდებარე დოლომიტის საბადოს დაბრუნებას. ამასთან ერთად, გაუღერებული იყო კობის, თრუსოს ხეობის, დარიალის ხეობის საკითხი.

ჩვენ ჩამოვედით აბანოში, 3 თვის განმავლობაში ვიმყოფებოდით აქ, ვპატრულირებდით და ამ პერიოდში არ გვაძლევდნენ საშუალებას, შევსულიყავით ჩორჩანის ტყეებში.

— არ გიშვებდნენ?

– დიახ, დიდი წინააღმდეგობა იყო. მხოლოდ რამდენიმეჯერ დიდი „კონვოის“ თანხლებით მოვახერხეთ ჩორჩანის ტალკის ორ საბადოზე ჩასვლა. ზაფხულის შემდეგ ეს სიტუაცია კიდევ უფრო გააქტიურდა. დაახლოებით ერთი თვის წინ აქ გაჟღერდა ინფორმაცია, რომ რუსმა ოკუპანტებმა ადგილობრივი კოდელი ახალგაზრდა მონადირე დააკავეს ამ ტყეებში.

ეს ტყეები ყოველთვის ხაშურის რაიონის მუნიციპალიტეტის იურისდიქციის ქვეშ იყო და არანაირი თეორიული შესაძლებლობა და იმის დაშვებაც კი არ შეიძლებოდა, რომ დე ფაქტო ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციულ საზღვარში ოდესმე ყოფილიყო ეს უზარმაზარი ტერიტორია, რომელზეც პრეტენზიას აცხადებენ ოკუპანტები.

— ახალგაზრდა მონადირე როდის დააკავეს?

– ეს ახალგაზრდა დააკავეს დაახლოებით ერთი თვის წინ და ეს ხდებოდა შუაგულ, ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

მას შემდეგ, რაც შსს-სა და სუს-ის მიერ დადასტურდა გატაცების ფაქტი, ჩვენ აქტიურად შევუდექით პატრულირებას აღნიშნულ ტყეში და ჩვენმა პატრულირებამ გამოიღო შედეგი. პირველივე დღეებში აქტიურად დავიწყეთ მუშაობა და ამ ბიჭის მითითებით ვიპოვეთ რიგი ნიშნულებისა, უფრო კონკრეტულად, 23 ნიშნული, რომელთა მიხედვითაც რუსი ოკუპანტები ჩვენს კონტროლირებად ტერიტორიაზე პატრულირებდნენ.

— ჩორჩანის ტყეში?

– დიახ, ჩორჩანის ტყეში. ეს არის სოფელ წნელისის თავზე. წნელისი კი ოკუპირებულია. ჩვენ რა ნიშნულებიც ვიპოვეთ, ამის შესახებ ჩავაყენეთ საქმის კურსში პოლიცია, ასევე გავასაჯაროეთ ეს ინფორმაცია. რამდენიმე დღე ვეძებდით საბადოს ტერიტორიის გარშემო ნიშნულებს, რადგან ადგილობრივმა მოსახლეობამ მოგვცა ეს მინიშნება და ინფორმაცია, რომ უკვე საბადოს ტერიტორიაც მონიშნული ჰქონდათ და რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ ეს ნიშნულები ვიპოვეთ.

აქ უკვე საუბარი არ არის იმაზე, რომ შეიძლება, ეს ვიღაც მეტყევის მონიშნული იყოს, რადგან ეს სრული აბსურდია. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ეს არის ოკუპანტების მიერ მონიშნული ტერიტორიები.

— ეს რა მოცემულობას ქმნის?

– ეს ნიშნავს იმას, რომ თუ სასწრაფოდ არ იქნება მიღებული ზომები, ამ ტყესა და იქ მდებარე 3 ტალკისა და 1 პემზის საბადო აღმოჩნდება ოკუპანტების ხელში. ისინი ამას უპრობლემოდ განახორციელებენ.

7 თებერვალს აქ პოლიციის თანხლებით ვიყავით და ყველანი შევთანხმდით იმაზე, რომ ეს სწორედ ის ნიშნულებია, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ.

— რატომ არაფერს ამბობს ხელისუფლება ამის თაობაზე?

– ეს ქმედება შეიძლება ისევ და ისევ იმ არგაღიზიანების პოლიტიკის ფარგლებში იყოს განხილული – ოღონდაც რუსი არ გაგვიბრაზდეს და გაიკეთოს, რაც უნდა.

მინდა, ვიყო დარწმუნებული, რომ ხელისუფლება სხვაგვარად ფიქრობს და სხვაგვარად მოქმედებს, თუმცა ასე არ არის. ხელისუფლება ამ საკითხებზე უნდა საუბრობდეს, აკეთებდეს მკვეთ და მკაფიო განცხადებებს, იკავებდეს კრიტიკულ პოზიციას. დიდი იმედი მაქვს, რომ ერგნეთის შეხვედრაზე ამ საკითხებს დააყენებს ქართული მხარე და მკაცრად მოითხოვს პასუხს იმ გადამეტებულ მოქმედებებზე, რასაც ახალი ტერიტორიების ოკუპაციის მცდელობა ჰქვია.

— ხურვალეთში ოკუპანტების მიერ სათვალთვალო კოშკურა დამონტაჟდა. ამასთან დაკავშირებით რა ინფორმაცია გაქვთ?

– ხურვალეთში სათვალთვალო კოშკურა დაიდგა ოკუპანტების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ეს კოშკურა დადგეს პირდაპირ მავთულხლართებთან.

ეს ძალიან ცუდი ნიშანია. ბოლო პერიოდში ძალიან გააქტიურებულია საოკუპაციო რეჟიმი ხურვალეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. ძალიან აქტიურად რაღაცისთვის ემზადება, ისინი, როგორც მინიმუმ, კიდევ დამატებითი ტერიტორიის მიტაცებისთვის ემზადებიან ხურვალეთის ტერიტორიაზე.

ჩვენ ამაში ხელს შევუშლით და ამაზე რეაგირებისთვის ერთი საათი დაგვჭირდება, ატოციდან რომ გადავისროლოთ ჩვენი ჯგუფები და ხელი შევუშალოთ მათ ბორდერიზაციაში. თუმცა, მხოლოდ მოხალისეების ხარჯზე არ უნდა ხდებოდეს ეს.

— ხელისუფლება უნდა აქტიურობდეს ამ კუთხით?

– ხელისუფლება დღეს უკვე ძალიან აქტიურ ქმედებებს უნდა ახორციელებდეს და უნდა ეუბნებოდეს ოკუპანტს, რომ არც ერთი კვადრატული სანტიმეტრის დათმობას არ ვაპირებთ!

ხურვალეთში ძალიან მალე ოკუპანტები აქტიურ ქმედებებზე გადავლენ, მოქმედებებს დაიწყებენ უკვე ჩვენ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და დაიწყებენ დამატებით მიწების მიტაცებას. მე შემიძლია, დოკუმენტურად გაჩვენოთ ის მოცემულობა, რომელიც გახლავთ ხურვალეთში.

— რას გულისხმობთ?

– ის საოკუპაციო ხაზი, რომელიც ჩვენთვის სამწუხარო მოცემულობაა და რომლისთვისაც თვალის არიდება შეუძლებელია, არსებობს და ოკუპანტები ავლებენ ახალ საოკუპაციო ხაზებს.

ხურვალეთის შემთხვევაში ჩვენ გვაქვს უკვე ბორდერიზებული ტერიტორია, რომლის დადასტურება ძალიან მარტივად არის შესაძლებელი ჯიპიეს კოორდინატებით. მათ დამატებით საოკუპაციო ხაზიდან საშუალოდ 100 მეტრი კიდევ დამატებით აქვთ მიტაცებული ხურვალეთის მიწები და ამის დადასტურება ძალიან მარტივად არის შესაძლებელი – ყველა საოკუპაციო ხაზიდან საზღვარი 60-70 მეტრით არის გადმოწეული და, ჯამში, ეს მრავალ ჰექტარ მიწას წარმოადგენს.

ოპოზიცია განათლების მინისტრის გადადგომას ითხოვს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

51-ე სკოლის მოსწავლეების საქმეზე, დღემდე გყავთ სამსახურში. ამ აუდიტის სამსახურმა გააკეთა ის, რაც მოხდა ზუგდიდში: შეასრულა პოლიტიკური დაკვეთა. თქვენ ხელი მოაწერეთ ანონიმურ წერილს, სადაც ეწერა, რომ თქვენ ხართ აღმაშენებელი და ვიღაც უწმინდურებმა დანიშნეს ქალბატონი ია კერზაია დირექტორად. ეს იყო პოლიტიკური და ანონიმური წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ვინმე ლავრენტი, ლავრენტი, რომელიც ყოველთვის იყო და არის მე-20 და 21-ე საუკუნის დასაწყისში. იცით, რა უნდა გექნათ თქვენ? გეთქვათ: შეისწავლეთ ეს წერილი, საკმარისია, დაგერეკათ რესურსცენტრებში და გაგერკვიათ. ადამიანი გთხოვდათ დახმარებას და თქვენ გაუშვით სპეცრაზმი. ამის შემდეგ ოპოზიცია კი არ უნდა ითხოვდეს თქვენს გადადგომას, მეგობრები უნდა გეუბნებოდნენ, რომ უნდა გადადგეთ, – განაცხადა სერგო რატიანმა.

„ევროპული საქართველოს“ წევრი გიორგი კანდელაკი კი მინისტრს დანაშაულის დაფარვას სდებს ბრალად.

ია კერზაიას საქმეზე გამოძიება ანონიმური წერილის საფუძველზე დაიწყო. ამ წერილს ხელს ვინმე ლავრენტი ქირია აწერს, რომელიც ბუნებაში არ არსებობს. ოპოზიცია კითხულობს, რატომ არ დაინტერესდა მინისტრი, ვინ დაწერა სინამდვილეში ეს წერილი.

კანდელაკის თქმით, 7 და 8 თებერვალს ბატიაშვილი პარლამენტში ძალიან ცუდად იქცეოდა. დეპუტატის თქმით, მინისტრის ქმედებები და განცხადებები სასამართლოში მინისტრის წინააღმდეგ შეიძლება იქნეს გამოყენებული.

– რანაირადაც არ უნდა დაგვესვა კითხვები ია კერზაიას საქმესთან დაკავშირებით, თქვენ გვპასუხობდით, რომ ამ ანონიმური წერილის ავტორის გადამოწმების ვალდებულება არ გქონდათ. ფორმალურად, შეიძლება, ასეთი ვალდებულება მართლა არ გქონდათ, მაგრამ გუშინ ორჯერ გკითხეთ და ახლაც გაგიმეორებთ ჩემს კითხვას – ნუთუ ახლა მაინც არ გაინტერესებთ ამ ანონიმური წერილის ნამდვილი ავტორის ვინაობა?

18 დეკემბერს, როდესაც ია კერზაია უკვე გარდაცვლილი იყო და თქვენ ამ წერილის ავტორს პასუხი მისწერეთ და ეს პასუხი რომ ადრესატს ვერ ჩაჰბარდებოდა, იმიტომ, რომ ის არ არსებობს, ამის მერეც არ დაგაინტერესათ, ვინ არის ნამდვილი ავტორი? დანაშაულის დაფარვაც დანაშაულია. თქვენი საქციელი ამ ორი დღის განმავლობაში შეიძლება გამოყენებული იყოს სასამართლოში თქვენ წინააღმდეგ და ამ ლაქას ვერასდროს ჩამოირეცხავთ დარჩენილი კარიერისა და ცხოვრების განმავლობაში. ერთადერთი გზა, რომელიც დაგრჩენიათ, არის ის, რომ თქვათ სიმართლე – ვინ დაგავალათ ეს ამბავი, – ჩაეკითხა კანდელაკი მინისტრს.

ია კერზაიას საქმეზე ბატიაშვილის მიმართ პრეტენზიები საპარლამენტო უმრავლესობამაც გამოხატა.

დეპუტატ ზაზა ხუციშვილის თქმით, განათლების სამინისტროს ზედმეტად მყისიერი რეაგირება ჰქონდა ანონიმურ წერილზე.

– ასეთი ეჭვი, რა თქმა უნდა, შეიძლება, ჰქონდეს საზოგადოებას, მხოლოდ ერთი სკოლის შემთხვევაშია ასეთი რამ და ამით არჩევნების ბედის გადაწყვეტა, არ ვიცი, რამდენად შესაძლებელი იყო, თუმცა ქალბატონი, როგორც ვიცი, ამბობდა, რომ ეს ზეწოლა იყო, – განაცხადა ხუციშვილმა.

„ოცნების“ კიდევ ერთი ლიდერი, ლევან კობერიძე, მინისტრს განმარტებას სთხოვს იმაზე, თუ რას გულისხმობს, როცა პასუხისმგებლობის აღებაზე საუბრობს.

– გამოსავლად მესახება, რომ კონკრეტულად მინისტრმა თქვას, რას აპირებს ამ საქმესთან დაკავშირებით. მან თქვა, რომ პასუხისმგებლობას ვიღებ, მაგრამ მე ველოდები, რომ ის იტყვის კონკრეტულ ქმედებებს, თუ რა მოჰყვება ამ საკითხს, მისი აღებული პასუხისმგებლობა რა ნაბიჯებით გამოიხატება... კონკრეტული ნაბიჯები თქვას, თუ ის ამბობს, რომ არაფერი მოხდება, ეს მისაღები არ იქნება ჩემთვის, – განაცხადა კობერიძემ.

დაჩქარდება თუ არა საქართველოსა და უკრაინის მიღება ნატოში?

მარიამ მჭედლიშვილი

ნატომ ამ დღეებში ხელი მოაწერა ოქმს, რომლის თანახმად, მაკედონია ჩრდილოეთ მაკედონიის სახელით მალე გახდება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფო. გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს ამ დღეს საქართველოზეც დაუსვეს შეკითხვა. მისი განმარტებით, მაკედონიის შესვლა ნატოში ადასტურებს, რომ ალიანსის კარი ღიაა და ორგანიზაცია აგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას ამ გზაზე.

იმავდროულად, ნატოში ინტეგრაციის დაჩქარებას მოითხოვს უკრაინა, რომელიც ხშირად საქართველოსთან ერთად მიიჩნევა ორგანიზაციის პარტნიორად.

უკრაინის უმაღლესმა რადამ მოუწოდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეას, დაიწყოს ინტენსიური დიალოგი კიევთან. მათი განცხადებით, უკრაინას 2019 წლის დეკემბრის სამიტზე უნდა მიენიჭოს გაწევრიანების სამოქმედო გეგმა.



რეალურად, საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღება-არმიღება დამოკიდებულია არა ამ ქვეყნების მოწოდებებზე, არამედ, მსოფლიოში შექმნილ მდგომარეობაზე, რომელიც დინამიკურად ვითარდება და იცვლება.

ანალიტიკოსების დასკვნით, ბოლო დროს მსოფლიო პოლიტიკის ახალი ნორმა გახდა ბალანსირება ომის ზღვარზე.

ამას ხელს უწყობს, პირველ რიგში, ბირთვული საფრთხე. რისკები ძლიერდება, ვინაიდან ვაშინგტონი დაიმუქრა, რომ დატოვებს მცირე და საშუალო სიდიდის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულებას, თუ მოსკოვი მას ისევ დაარღვევს. ამის პასუხად, იმავეს გააკეთებს კრემლი.

ჩვენი რეგიონი ამის გარეშეც ცხელ წერტილად და სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ადგილად ითვლება, რაც ზრდის კონკურენციას მთავარ მოთამაშეებს შორის.

ითვლება, რომ ხავერდოვანმა რევოლუციამ სომხეთი, ფაქტობრივად, გამოიყვანა რუსეთის დაქვემდებარებიდან, კრემლი კი აზერბაიჯანთან წინანდელზე მჭიდროდ თანამშრომლობს.

თუმცა, მოვლენების სწრაფად განვითარებამ შეიძლება სიტუაცია შეცვალოს. ანალიტიკოსები სომხეთში გაზაფხულზე არ გამორიცხავენ ახლანდელი პრემიერის, ნიკოლ პაშინიანის პოზიციების შესუსტებას. არასაპარლამენტო ოპოზიცია მას სიურპრიზებს უმზადებს. პაშინიანს ცუდი დღე დაადგება მაშინ, თუ ის ვერ გაატარებს რეფორმებს და ვერ გაუმჯობესებს ხალხის მდგომარეობას.

რეგიონზე ზეგავლენას ახდენს რუსეთ-თურქეთ-ირანის სამეული, რომელიც სირიის პრობლემების გამო შეიქმნა. „ასტანის ფორმატის“ მეოთხე სამიტი სოჭში 14 თებერვალს გაიმართება.

– სამხრეთ კავკასიის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია თურქეთის, აზერბაიჯანისა და ირანის თანამშრომლობის ფორმატი, – აცხადებს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მევლუთ ჩავუშოღლუ.

ტრადიციულად, ირანსა და თურქეთს შორის თანხმობა და ჰარმონია ყველა საკითხში არ არის, აზერბაიჯანი და თურქეთი კი ძმური სახელმწიფოებია. ამაზე ჩავუშოღლუმ კიდევ ერთხელ მიანიშნა.

– იქ, სადაც თურქეთი არ არის, ანკარას წარმოადგენს აზერბაიჯანელი ხალხი ილჰამ ალიევის მეთაურობით. თურქეთი და აზერბაიჯანი ორ სახელმწიფოდ დაყოფილი ერთი ერი ვართ და ხშირად ერთ სახელმწიფოდ წარმოვდგებით, – განუმარტა სტუდენტებს მინისტრმა.

საქართველოსთვის ეს ორი სახელმწიფო სტრატეგიულ პარტნიორად ითვლება, ისევე, როგორც უკრაინა და მოლდოვა.

საქართველო ნატოსა და ევროკავშირის მოკავშირეც არის, თუმცა შექმნილ რეალობაში თავს ყველანაირად დაცულად არ უნდა გრძნობდეს.

დავით ბეჟუაშვილი ადასტურებს, რომ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მფლობელთა შორის არის

ბიზნესმენი დავით ბეჟუაშვილი პირველ არხთან საუბარში ადასტურებს, რომ თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანია „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მფლობელთა შორისაა.

„გაზში კომპანიის ინტერესები არის, მაგრამ მართვის პროცედურა არ არის დაწყებული“, – აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

პირველი არხი დაინტერესდება, იქნება თუ არა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ გაზგამანაწილებელი კომპანიის მართვაში ერთობლივად ჩართული ბიზნესმენ ხვიჩა მაქაცარიას „სიბიეს ჯგუფთან“ ერთად. „ეს პროცესი ყალიბდება“, – დასძინა ბეჟუაშვილმა.

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ შარშან კომპანია „ვალთბეიმ“ შეიძინა, რომლის მფლობელად „სიბიეს ჯგუფი“ დასახელდა.

1tv.ge

„კომპანიები, რომლებიც კორპუსებს აშენებენ, შესაძლოა, დაიხუროს“

ლელა მდივანი

ზვიად ხორგუაშვილი: „საბაზრო პროცესებში მთავრობის ასეთი უხეში ჩარევა იმათაც დააზარალებს, ვისაც ბინები უკვე ნაყიდი აქვს“

კომერციული ბანკების მიერ საკრედიტო პორტფელის ხელშეწყობის მიზნით კლიენტის გადახდისუნარიანობის, მისი შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური ანალიზის გარეშე სესხის გაცემის აკრძალვამ გაყიდვები შეამცირა.

საბანკო რეგულაციების ამოქმედების შემდეგ შემცირდა ბინების გაყიდვების მაჩვენებელი. გაყიდვების შემცირებაზე საუბრობენ ელექტრონული ტექნიკის მაღაზიებიც.

რა შედეგებამდე შეიძლება მივიდეთ, თუკი აღნიშნული რეგულაცია არ შეიცვალა, რატომ წარმოქმნა ერთი პრობლემის მოგვარების მცდელობამ ახალი პრობლემა და რაშია გამოსავალი? – ამაზე „ახალ თაობას“ ეკონომისტი ზიად ხორგუაშვილი ესაუბრა.

– როგორ გგონიათ, თუკი არ მოხდა აღნიშნული საბანკო რეგულაციების გადახალისება, გამოიწვევს ეს კომპანიების გაკოტრებას?

– გარკვეული კომპანიების გაკოტრება შეიძლება გამოიწვიოს. ერთ-ერთი მსხვილი კომპანიის ტექნიკის მაღაზია, კონკრეტულად „ტექნობუმზე“ იყო საუბარი, უკვე გაკოტრების პროცესშია. ეს შეიძლება გადაედოს სხვა კომპანიებსაც, რადგან ისინი მკვეთრად ზარალობენ.

სამშენებლო კომპანიებში უარესად არის მდგომარეობა, რადგან ისინი, ტექნიკის კომპანიებისგან განსხვავებით, არა მარტო განვადებებზე მუშაობენ, არამედ იპოთეკურ სესხებზეც და აქ მთავრობამ კიდევ უფრო მკაცრი რეგულაციები შემოიღო მომხმარებლებისთვის.

პირველ რიგში, დაიხურებიან წვრილი კომპანიები, რომლებიც აშენებენ სახლებს, მათ შორის კორპუსებს ვინც აშენებს. მსხვილები გადაურჩებიან ამას. უბრალოდ, ეს ქმედებები იწვევს იმას, რომ ბაზარზე მცირდება კონკურენცია და ძვირდება ფასი.

ახლა სამშენებლო სექტორი განიცდის კლებას. მსგავსი ინიციატივები, რასაც დღეს მთავრობა გვთავაზობს, ძალიან დიდ შანსს აჩენს, რომ ძალიან ბევრი კლიენტი დაზარალდეს და არა მხოლოდ იმით, რომ ბინები ვეღარ იყიდონ, რასაც აქამდე ძალიან ბევრი ადამიანი აკეთებდა, მათ შორის გადახდისუნარიანი, არამედ შეეხოს ისეთ ადამიანებს, რომლებიც მოლოდინის პროცესში არიან, ვისაც ბინები უკვე ნაყიდი აქვთ. შესაბამისად, მთავრობის ასეთ უხეშ ჩარევას საბაზრო პროცესებში ყოველთვის ასეთ შედეგებამდე მივყავართ.

სამწუხაროა, რომ გარკვეულწილად პოპულისტური ნაბიჯი იყო, ხალხის დაკვეთა იყო ის, რომ დაერტყა მთავრობას ბანკებისთვის, სესხებისთვის და ისიც აჰყვა ამ პოპულისტურ ნაბიჯებს.

ხშირად იმის გათვალისწინება, რასაც ხარბი მასა ითხოვს, არის მავნებლობა და აზარალებს სრულ უმრავლესობას, რომლებიც მუშაობენ, სესხებს, გადასახადებს იხდიან. მთავრობამ დაიწყო ისეთი მავნებლობების გამოყენება, რაც არ უნდა გააკეთოს არც ერთმა მთავრობამ, მათ შორის გამოგონება მოხდა ე.წ. ჭარბვალიანობის აღმოფხვრის ცდების, რაც პრაქტიკულად ტყუილია.

რომ გადავხედოთ ჩვენნაირი განვითარების დონის მქონე ქვეყნებს, ვნახავთ, რომ საგანგაშო ამ მხრივ არაფერია, მაგრამ, როდესაც საქმე სიღარიბეს ეხება, მთავრობამ ერთმანეთში აურია მიზეზი და შედეგი. სიღარიბე არის არა შედეგი, არამედ მიზეზი ამ ყველაფრის.

– ეს რეგულაციები ხომ იმის გამო მიიღეს, რომ ჭარბვალიანობა შემცირებულიყო, თუმცა ერთი პრობლემის მოგვარების მცდელობა მეორე პრობლემის წარმოშობის წინაპირობა გახდა. ხომ არ იჩქარეს ამ რეგულაციის მიღება?

– ეს რეგულაცია 100 წლის შემდეგაც რომ შემოეღოთ, მაშინაც მავნებლობა იქნებოდა, 20 წლის შემდეგაც მავნებლობა იქნებოდა და ყოველთვის მავნებლობაა ეს გადაწყვეტილება.

აქ სხვა რამეშია საქმე – საქართველოში ჭარბვალიანობა კი არა, სიღარიბეა და მათ შორის, 2016-2017 წლებში გაიზარდა ეს სიღარიბე. მთავრობა მთლიანად ურევს მიზეზსა და შედეგებს. სიღარიბე არის მიზეზი და არა შედეგი ამ ე.წ. ჭარბვალიანობის. შესაბამისად, მთავრობამ ამ სიღარიბის აღმოფხვრაზე უნდა იზრუნოს და არა – მის გაღრმავებაზე და ჩვენ ვხედავთ, რომ მის გაღრმავებაზე ზრუნავს იმით, რომ ტექნიკაზე, სესხებზე, უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობას გვიზღუდავს, იმით, რომ სამუშაო ადგილები იკარგება და ა.შ. ამ ყველაფრის ერთმანეთში არევა კი არაკომპეტენტურობის ნიშანია.

– რაში ხედავთ გამოსავალს და ვისი პრეროგატივაა ამ პრობლემის მოგვარება?

– გამოსავალი არის როგორც საქართველოს მთავრობის, კონკრეტულად ფინანსთა სამინისტროს, ასევე ეროვნული ბანკის ხელში. ეროვნულმა ბანკმა აუცილებლად უკან უნდა წაიღოს ის რეგულაციები, რაც მიიღო და ეს რეგულაციები ეროვნულ ბანკს არ დასიზმრებია, მთავრობის პოლიტიკიდან და ე.წ. ჭარბვალიანობასთან ბრძოლიდან გამომდინარე მიიღო.

აუცილებელია გადასახადების შემცირება და კიდევ სხვა მრავალი რეფორმის გატარება, რაც ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება. მაგალითად, კერძო საკუთრების დაცულობის მხრივ სერიოზული პრობლემებია და სასამართლოსთან დაკავშირებითაც სერიოზული პრობლემები გვაქვს.

– პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც საბანკო რეგულაციების გამო გაყიდვები შეუმცირდათ, შიდა დაკრედიტების მექანიზმის განვითარებას ურჩევს. რამდენად გამოასწორებს ეს მათ მდგომარეობას?

– საფინანასო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს საკმაოდ მაღალი ხელფასი აქვს და ნაკლებად ეხება ის პრობლემები, რომლებიც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს შეეხო მათი მავნებლობით.

შესაბამისად, მისთვის მარტივია ამაზე საუბარი. ეს ჰგავს ივანიშვილის განცხადებას, როდესაც გაჭირვებულ ხალხს ეუბნებოდა, პირადი ბანკირი დაიქირავეთო. როგორც ეს განცხადება იყო არაკომპეტენტური და უსამართლო, ასეთივეა ეს განცხადებაც. არაფრით განსხვავდება ერთმანეთისგან.

ბიზნესომბუდსმენი: „ახალი საბანკო რეგულაციები ტექნიკისა და უძრავი ქონების ბაზრებს აზარალებს“

– ახალი საბანკო რეგულაციები ტექნიკისა და უძრავი ქონების ბაზრებს აზარალებს, ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას და საბოლოოდ ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე, – ასე აფასებს ბიზნესომბუდსმენი ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ 2019 წლის 1იანვრიდან ამოქმედებული დებულების შედეგებს 1 თვის თავზე.

ირაკლი ლექვინაძის თქმით, 1 იანვრიდან ამოქმედებული ახალი საბანკო რეგულაციები, ართულებს და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის განვადების სერვისით სარგებლობას, რაც აზარალებს იმ კომპანებს, რომელთა გაყიდვებს შორის განვადებების წილი მაღალია.

– ჯერ კიდევ 2018 წლის 1 მაისს დაკრედიტების გამკაცრებამ ამოქმედებიდან პირველივე თვეებში ტექნიკის მაღაზიების გაყიდვები შეამცირა, რასაც 2019 წლის 1 იანვრიდან კიდევ უფრო გამკაცრებული ახალი რეგულაციები დაემატა. განსაკუთრებით პრობლემურია რეგიონები, სადაც მოქალაქეები თვითდასაქმებულები არიან, ვერ ადასტურებენ შემოსავლებს და, შესაბამისად, ახალი საბანკო რეგულაციებით მათ პრაქტიკულად ეკრძალებათ განვადების სერვისით სარგებლობა. ჩვენ ვიყავით ჩართულები კონსულტაციებში. რეკომენდაციითაც მივმართეთ ეროვნულ ბანკს, რის შემდეგაც რეგულაციები შერბილდა და ამოქმედების ვადამ გადაიწია, თუმცა არ მოხდა კერძო სექტორის ინტერესების სრულად გათვალისწინება, რამაც საბოლოოდ დაგვაყენა ამ რეალობის წინაშე, – ამბობს ირაკლი ლექვინაძე.

ფიზიკურ პირებზე სესხების გაცემის შესახებ დებულება, რომელიც ქვეყანაში ჭარბვალიანობის შემცირებას ისახავს მიზნად, 2018 წლის პირველი ნოემბერს უნდა ამოქმედებულიყო, თუმცა კერძო სექტორის მოთხოვნით და ბიზნესომბუდსმენის რეკომენდაციით დაგეგმილი რეგულაციები შერბილდა, რიგი ტექნიკური დეტალები დაზუსტდა და საბოლოოდ ახალი საბანკო რეგულაციები 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შევიდა ძალაში.

დავით მესხიშვილი: „გაოგნებული ვარ შესაბამისი სამსახურების გულგრილობით – ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელი სისხლიანი გზა!“

– რამდენიმე დღის წინ ვიმყოფებოდი ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელ გზაზე, „რუსთავი 2“-ის გადმღებ ჯგუფთან ერთად. ეს ის გზაა, სადაც ბოლო 2 წლის განმავლობაში 9 ადამიანმა დატოვა სიცოცხლე, ხოლო 35-ზე მეტი დაშავდა/დასახიჩრდა. მათი უმრავლესობა, როგორც გარდაცვლილების, ასევე დასახიჩრებულების, იყო ახალგაზრდა, არასრულწლოვანი. ამა წლის 15 იანვრის შემზარავი ტრაგედიაც გემახსოვრებათ, რომლის დროსაც გარდაიცვალა 3 ახალგაზრდა. ვიფიქრე, ალბათ ახლა მაინც მოაწესრიგებდნენ წყალტუბო-ქუთაისის გზას (სულ რაღაც 7-კილომეტრიანი მონაკვეთია) შესაბამისი სამსახურები-თქო, მაგრამ ამაოდ. თითი თითზე არ არის დადებული, – წერს სოციალურ ქსელში არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი.

ქუთაისი-წყალტუბოს დამაკავშირებელი გზის პრობლემას „კომერსანტი“ სისტემატურად აშუქებს და მიმართავს შესაბამის ორგანოებს, თუმცა ხშირად პასუხსაც ვერ ვიღებთ. ამ შემთხვევაშიც დავუკავშირდით შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომლის არგუმენტებსაც, როგორც დაგვპირდნენ, მოგვიანებით მოგვაწვდიან, რასაც ჩვენ ავტომატურ რეჟიმში შემოგთავაზებთ. ამჯერად კი უცვლელად გთავაზობთ დავით მესხიშვილის სტატუსს.

– უმეტესობა შემთხვევებისა, რომლებიც ტრაგედიით ან ტრავმებით დასრულდა, გამოწვეული იყო მაღალი სიჩქარით. და საერთოდაც საერთაშორისო სტანდარტებითაა აღიარებული, რომ სიჩქარე კლავს: Speeding Kills! წარმოიდგინეთ, რომ ასეთ სისხლიან გზაზე არ დგას არცერთი საჭირო ამკრძალავი და მაფრთხილებელი საგზაო ნიშანი. განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ არ დგას მაქსიმალური სიჩქარის შემზღუდველი არც ერთი საგზაო ნიშანი! ეს იმ გზაზე, სადაც სიჩქარის გადაჭარბება ადამიანებს ხოცავს! გაოგნებული ვარ შესაბამისი სამსახურების გულგრილობით.

ამიტომ ვითხოვ:

განთავსდეს შესაბამისი საგზაო ნიშნები – გასწრება აკრძალულია, სახიფათო მოსახვევი, მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა, ქვეითთა გადასასვლელი (მაფრთხილებელი), ავტობუსის გაჩერების ადგილი და სხვა;

2. შეიცვალოს იქ განთავსებული ძველი საგზაო ნიშნები ახლით. გამოყენებულ იქნას მაღალი ხარისხის მასალა, რის შედეგადაც საგზაო ნიშნები აღქმადი იქნება, განსაკუთრებით ღამის საათებში, აგრეთვე წვიმიანნისლიან ამინდში. დამონტაჟდეს საგზაო ნიშნები მძღოლისთვის ხილვად ადგილებში;

3. განახლდეს საგზაო მონიშვნები მაღალი შუქამრეკლობის მასალის გამოყენებით;

4. შეკეთდეს დაზიანებული საავალი ნაწილი, განსაკუთრებით ტალღოვანი მონაკვეთები;

5. მოწესრიგდეს ავტობუსის გაჩერების ადგილი. თავიდან დაიხაზოს ზებრა-გადასასვლელი მაღალი შუქამრეკლობის მქონე მასალის გამოყენებით. განთავსდეს სიჩქარის შემაფერხებელი ბორცვები ზებრა-გადასასვლელებთან. მოწესრიგდეს საფეხმავლო ბილიკები;

6. საავტომობილო გზის სავალ ნაწილზე, რამდენიმე ადგილას განთავსდეს ხმაურიანი ზოლები (ე.წ. შემაფხიზლებელი);

7. დამონტაჟდეს ელექტრომონიტორები – შეანელე სვლა;

8. განთავსდეს მინიმუმ სამი კამერა და სიჩქარის მზომი რადარი, წესრიგის დამყარების მიზნით.

მეგობრებო, მძღოლებო, მგზავრებო, პირველ რიგში, თქვენ მინდა წაიკითხოთ ეს ინფორმაცია და გაეცნოთ რეალურ სურათს, რომელიც, სტატისტიკის მიხედვით, საგანგაშოა. ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, როცა ამ გზაზე მოხვდებით, იყავით ყურადღებით, ფრთხილად და სიჩქარეს ნუ გადააჭარბებთ, წესების დარღვევითაც ნუ გადაასწრებთ. ამ გზამ იმდენი სიკვდილი და სისხლი ნახა, რომ საკმარისია, სადღაც უნდა შევაჩეროთ! მარტო კამერების შიშით ნუ ვიქცევით ფრთხილად, გააზრებულად დავიცვათ მოძრაობის წესები. სულ ეს არის, რაც ჩვენ, მძღოლებს გვევალება!

ბოლოს კი ვტოვებ, წყალტუბო-ქუთაისის გზაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ქრონოლოგიურ ჩამონათვალს, რომელიც არასრულია. ეს ის ინფორმაციაა, რაც მედიის საშუალებით გავრცელდა. ამ გზით კიდევ ერთხელ მსურს შესაბამის სამსახურებს მოვუწოდო მოქმედებისკენ!

2019 წლის 15 იანვარი: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა. ავტომობილი ბოძს შეეჯახა, შედეგად ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა და ტრანსპორტში მჯდომი სამივე ახალგაზრდა (20-22 წლის) დაიწვა.

2018 წლის 23 დეკემბერი: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. მაღალი სიჩქარით მოძრავი მსუბუქი ავტომობილი სამგზავრო მიკროავტობუსს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავებული ხუთი ადამიანი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებმა ქალაქის საავადმყოფოებში გადაიყვანეს.

2018 წლის 3 ნოემბერი: წყალტუბო-ქუთაისის საავტომობილო გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს ორი მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. დაშავებულები სასწრაფო დახმარების სამსახურმა ქუთაისის ინტერვენციული მედიცინის ეროვნულ ცენტრში გადაიყვანა.

2018 წლის 2 აპრილი: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევას სამი ადამიანი ემსხვერპლა. ავტომობილი ბოძს შეეჯახა, შედეგად ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა და ტრანსპორტში მჯდომი სამივე ახალგაზრდა (20-22 წლის) დაიწვა.

2018 წლის 24 მარტი: წყალტუბო-ქუთაისის გზაზე, მერსედესის მარკის ტაქსი რკინის ბოძს შეასკდა. შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

2017 წლის 13 სექტემბერი: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავარია მოხდა. ერთმანეთს მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი შეეჯახა, რის შედეგადაც 7 ადამიანი დაშავდა. 5 დაშავებულს სამედიცინო დახმარება ადგილზე გაეწია, ხოლო ორის ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო, ერთს – თავის, ხოლო მეორეს მუცლის ტრავმა აღენიშნებოდა.

2017 წლის 18 აპრილი: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავარია მოხდა. დაიღუპა 2 ადამიანი და 4 დაშავდა.

2017 წლის 26 თებერვალი: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევაში გარდაიცვალა 1 ადამიანი, 2 კი დაშავდა.

2016 წლის აგვისტო: ქუთაისი-წყალტუბოს გზაზე სატვირთო ტრანსპორტი ქორწილის ავტომობილს შეეჯახა. დაშავდა რამდენიმე ადამიანი.

2016 წლის 18 მაისი: წყალტუბო-ქუთაისის დამაკავშირებელ გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს სუზუკისა და ოპელ ვექტრას მარკის ავტომანქანები შეეჯახნენ. ოპელ ვექტრაში ბოლო ზარიდან მომავალი ახალგაზრდები ისხდნენ. დაშავებულები ჰოსპიტალში გადაიყვანეს.“

სააპელაციო სასამართლომ 4 წლის ბავშვის მკვლელობაში მსჯავრდებულის განაჩენი ძალაში დატოვა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად, ძალაში დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 25 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის თანახმადაც, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის განსაკუთრებული სისასტიკით განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, უზბეკეთის მოქალაქე ს.მ. დამნაშავედ ცნო.

სახელმწიფო ბრალდების მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და სასამართლოს განაჩენით დადასტურებულია, რომ 2018 წლის 13 ივნისს ს.მ.-მ ქ.ბათუმში, თავის დროებით საცხოვრებელ სახლში, მისთვის მიბარებულ 4 წლის გოგონას განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლინებით, მოკვლის განზრახვით, სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა მრავლობითი, მათ შორის სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება. მიღებული დაზიანებების შედეგად არასრულწლოვანი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ს.მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბელგიის სასამართლომ ბანკის ძარცვისთვის დაკავებული ქართველი კობა მ. გაათავისუფლა

ბელგიის სასამართლომ ანტვერპენში ბანკის ფილიალის ძარცვის საქმეზე დაკავებული 27 წლის ქართველის გათავისუფლების გადაწყვეტილება მიიღო.

ამის შესახებ ბელგიური მედია იტყობინება. პროკურატურას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს.

ბელგიის მოქალაქე, წარმოშობით ქართველი კობა მ. პოლიციამ 2 დღის წინ დააკავა, თუმცა, როგორც დაკავებულის ადვოკატმა საჰილ მალიკმა განაცხადა, ბრალდების მხარემ ძარცვაში მისი მონაწილეობის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები ვერ წარადგინა.

სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მედიის მიერ საქმის აქტიური გაშუქებით კობა მ.-ს უფლებები დაირღვა.

ანტვერპენის პოლიცია ამ დრომდე ეძებს ბანკის ძარცვაში სხვა ეჭვმიტანილებს.

როგორც ბელგიური მედია წერს, სამართალდამცველებმა გამოძიების ფარგლებში ასევე დააკავეს კობა მ-ს მამა და მეგობარი. ის 28 წლის ახალგაზრდაა. მისი თითის ანაბეჭდები სამართალდამცველებმა სარდაფში აღმოაჩინეს.

ქართველები ერთ სატრანსპორტო კომპანიაში მუშაობდნენ.

ბანკ „ბი-ენ-პი პარიბასის“ ფილიალის საცავში მძარცველებმა შეღწევა ორი მიწისქვეშა გვირაბისა და საკანალიზაციო სისტემის გამოყენებით შეძლეს. პოლიციელებს 30-მდე სადეპოზიტო ყუთი ცარიელი დახვდათ.

გიორგი ონიანმა სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე უარი გაასაჩივრა

მსჯავრდებულმა გიორგი ონიანმა მოსახდელი სასჯელის შინაპატიმრობით შეცვლაზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციარული სამსახურის აღმოსავლეთ საქართველოს პირველი საბჭოს უარი გაასაჩივრა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ონიანის ადვოკატმა ბექა ბასილაიამ განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, საბჭომ უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო, რის გამოც მან სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა.

– ეს გადაწყვეტილება ცალსახად უკანონო და დაუსაბუთებელია. ამ გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით და გიორგი ონიანის შინაპატიმრობით გათავისუფლების მოთხოვნით, სასამართლოში სარჩელი შევიტანეთ. აღნიშნული სარჩელის ადმინისტრაციული წესით განხილვა თებერვლის ბოლოდან დაიწყება.

პროცესზე საბჭოს არაკანონიერი გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობას დავადასტურებთ. მათ დადასტურებული აქვთ თავიანთ გადაწყვეტილებაში, რომ გიორგი ონიანი ნამდვილად აკმაყოფილებდა საჭირო კრიტერიუმებს, ის სასჯელის მოხდის პერიოდში იქცეოდა კანონის შესაბამისად, ასევე მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც ადეკვატურია. თქვეს, რომ გიორგი ონიანის მიმართ წარდგენილი ქმედების ხასიათი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო. მე კი შეგახსენებთ, რომ ამ წარდგენილი ქმედებების საფუძველზე მოხდა სააპელაციო სასამართლოში ონიანისთვის სასჯელის შემცირება, – აცხადებს ბასილაია. შეგახსენებთ, რომ გიორგი ონიანს საგამოძიებო უწყება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, მტკიცებულებების ფალსიფიკაციასა და პირისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ედავებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ონიანს ოთხივე ეპიზოდში გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

მას 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. აქედან ონიანს მოსახდელი 1 წელზე ნაკლები დარჩა.

საგამოძიებო სამსახურმა უაქციზო ალკოჰოლური სასმელის შენახვა-გადაზიდვის ფაქტი გამოავლინა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პირთა ჯგუფის მიერ, უაქციზო ალკოჰოლური სასმელის შენახვა-გადაზიდვის ფაქტი გამოავლინეს.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქალაქ თბილისში, დანაშაულში მხილებული პირების სატრანსპორტო საშუალებიდან ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი სომხური წარმოების სხვადასხვა დასახელების 57 ბოთლი უაქციზო კონიაკი. ამოღებული ალკოჰოლური სასმელის საერთო საბაზრო ღირებულება 3 000 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით.

საპატრულო პოლიციის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსად დავით ჟოჟუაშვილი დაინიშნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარ სამმართველოს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს.

სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ თანამდებობაზე პოლიციის მაიორი დავით ჟოჟუაშვილი დაინიშნა.

დავით ჟოჟუაშვილი 2018 წლიდან საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საორგანიზაციო სამმართველოს უფროსად მუშაობდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობას აქამდე კახა ბუხრაძე იკავებდა, რომელიც თბილისის საპატრულო პოლიციის უფროსად დაინიშნა.

გურჯაანის სასამართლომ გიორგი ვაშაძე 3.000 ლარით დააჯარიმა, მელია კი უდანაშაულოდ ცნო

გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ნიკა მელია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ცნო, გიორგი ვაშაძე კი ცნო და 3 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა დააკისრა.

პროცესი გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 8 თებერვალს გაიმართა.

მოსამართლე დევი დევიძემ აღნიშნა, რომ ვაშაძის შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ასახავდა მის ბრალეულობას, სადაც ის პოლიციელს შეურაცხყოფას აყენებს. რაც შეეხება ნიკა მელიას, დაცვის მხარემ მოსამართლეს უტყუარი მტკიცებულებებისა და დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, საქმის წარმოების შეწყვეტა მოითხოვა. ამ ნაწილში დაცვის მხარის პოზიცია მოსამართლემ გაიზიარა და ნიკა მელია ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ცნო.

პროცესს არ ესწრებოდნენ ნიკა მელია და გიორგი ვაშაძე.

ბრალდების მხარე ოპოზიციონერებს 16 დეკემბერს, სოფელ ველისციხესთან მომხდარი ინციდენტის დროს პოლიციელების დაუმორჩილებლობას ედავებოდა.

სასამართლომ 81 წლის ე.წ. სახალხო მკურნალი დამნაშავედ ცნო

ლ.ნ.-ს 10.000 ლარის გადახდა დაეკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა ე.წ. სახალხო მკურნალის ლ.ნ.-ს მიმართ, რომელსაც ბრალად ედებოდა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, ჩადენილი დიდი ოდენობით.

საქმის მასალების თანახმად, ბრალდებული, რომელსაც არ გააჩნდა სამედიცინო განათლება და სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია, მუშაობდა რა ქალიშვილის კუთვნილ კლინიკაში, ცერებრალური დამბლით დაავადებულ პაციენტის მშობლებს დაჰპირდა, რომ სამი თვის განმავლობაში პაციენტს ჩაუტარებდა სამედიცინო პროცედურებს და გააუმჯობესებდა მის მდგომარეობას.

კლინიკაში გატარებული თითოეული დღისთვის პაციენტის მშობლებს უნდა გადაეხადათ 420 ლარი.

2010 წლის 10 ნოემბერს ნ.ა. დააწვინეს ქ.თბილისში მდებარე ერთ-ერთ კლინიკაში, რომელსაც იმ პერიოდისთვის სტაციონარული დაწესებულების ნებართვა არ გააჩნდა.

ბრალდებულმა პაციენტი მოათავსა ხის ჯვრის ფორმის ტრავმატოლოგიურ საწოლზე. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებულმა იცოდა, რომ ვერ განკურნავდა ცერებრალური დამბლის მქონე პაციენტს, მშობლებს მკურნალობისათვის გაწეული საფასურის სახით, მოტყუებით 2010 წლის 10 ნოემბრიდან – 2011 წლის 19 თებერვლამდე პერიოდში, გადაახდევინა 27.800 ლარი.

საქმის არსებითად განხილვისას გამოკვლეული მტკიცებულებებით სასამართლომ 81 წლის ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში.

სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის ასაკი, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და მიზანშეწონილად არ მიიჩნია თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბრალდებულს სასჯელის სახედ დაეკისრა ჯარიმა – 10.000 ლარი.

ბაკურიანში მანქანა 2 ქვეითს დაეჯახა

დაშავებული ქალის მდგომარეობა ძალიან მძიმეა

ბაკურიანში ავტომობილის დაჯახების შედეგად დაშავებული 2 ქვეითად მოსიარულე მოქალაქიდან ერთ-ერთი, 30 წლის ქალი, გორში კლინიკა „გორმედში“ გადაიყვანეს.

„გორმედის“ ცენტრალური საავადმყოფოს რეანიმაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელ დავით ყაზაიშვილის განცხადებით, პაციენტი კლინიკაში სიცოცხლისთვის შეუთავსებელი დაზიანებებით შეიყვანეს.

– პაციენტი შემოსულია შემდეგი დაზიანებებით: ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ტრავმული სისხლჩაქცევა მარჯვენა შუბლ-თხემ-საფეთქელში, მკერდის დახურული ტრავმა ფილტვების დაჟეჟილობით, მუცლის დახურული ტრავმა, მცირე მენჯის მოტეხილობა, მენჯის ძვლების მრავლობითი მოტეხილობა, ბარძაყის ძვლის მოტეხილობა მარცხნივ დიდი ზომის რეტროპერიტონიალური სისხლჩაქცევით, თავის ტვინის მძიმე შეშუპება.

ჩაუტარდა ორმხრივი დეკომპრესიული ტრეპანაცია, ამ ეტაპზე პაციენტის მდგომარეობა არის უკიდურესად მძიმე, – განაცხადა დავით ყაზაიშვილმა.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება სსკ-ს 276 მუხლით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

თბილისში მანქანამ ქვეითი გაიტანა

შუახნის მამაკაცი დაიღუპა

7 თებერვალს, საღამოს, თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ქვეითად მოსიარულეს ავტომობილი დაეჯახა. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას შუახნის კაცი გარდაცვლილი დახვდა.

მძღოლი პოლიციას ჩაჰბარდა. მისი თქმით, ქვეითად მოსიარულე ტროტუარიდან გზაზე ჩავიდა, მან კი საჭე ვერ დაიმორჩილა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო ბრიგადის 5 ჯგუფი და სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

საფრანგეთმა იტალიიდან ელჩი გაიწვია

საფრანგეთმა იტალიიდან კონსულტაციისთვის ელჩის გამოწვევის გადაწყვეტილება მიიღო.

საფრანგეთის საგარეო უწყებაში იტალიის ვიცეპრემიერისა და ეკონომიკის მინისტრ ლუიჯი დი მაიოს საპროტესტო მოძრაობა „ყვითელი ჟილეტების“ წარმომადგენლებთან შეხვედრა გააკრიტიკეს.

– ბოლო ჩარევა კიდევ ერთი პროვოკაციაა და ეს მიუღებელია, – აღნიშნეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

საფრანგეთის საგარეო უწყებაში იტალიის ვიცეპრემიერს მოუწოდეს, ყურადღება მიაქციოს საკუთარ ქმედებებს, რათა ზიანი არ მიაყენოს ორმხრივ ურთიერთობებს.

აღსანიშნავია, რომ 7 იანვარს იტალიის ვიცეპრემიერმა ლუიჯი დი მაჯიომ მხარდაჭერა გამოუცხადა „ყვითელი ჟილეტების“ მოძრაობას.

– ახალი ევროპა იბადება – ყვითელი ჟილეტების, მოძრაობებისა და პირდაპირი დემოკრატიის ევროპა, – განაცხადა მაშინ იტალიის ვიცეპრემიერმა.

აშშ-ის პრეზიდენტის რეიტინგი მკვეთრად დაეცა

ამერიკის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის პოპულარობის რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ამას მოწმობს კომპანია „მორნინგ კონსალტის“ გამოკითხვა. კომპანიის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ტრამპის პოპულარობის რეიტინგმა რეკორდულად დაბალ ნიშნულს მიაღწია და 40% შეადგინა. ამ გამოკითხვით, სწორედ 40%-ს მოსწონს პრეზიდენტის ქმედებები მაშინ, როდესაც 55% უკმაყოფილებას გამოთქვამს.

ასევე ცნობილი გახდა, რომ ტრამპის საქმიანობას დადებითად აფასებენ მხოლოდ 12 შტატში, 27 შტატში კი – უარყოფითად.

გამოკითხვა 1-31 იანვრის განმავლობაში მიმდინარეობდა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 156 ათასმა ადამიანმა.

ელიოტ აბრამსი: „მადუროსთან დიალოგი უაზრობაა!“

ვაშინგტონში ვენესუელის საკითხებში აშშ-ის სპეცწარმომადგენელ ელიოტ აბრამსის პრესკონფერენცია შედგა.

მან განაცხადა, რომ მადუროსთან მოლაპარაკებები წყლის ნაყვაა.

– მადუროსთან დიალოგი უაზრობაა! ვენესუელელი პრეზიდენტი თანამდებობიდან უნდა წავიდეს! – ამბობს აბრამსი.

მან ხაზი გაუსვა, რომ ვენესუელის პრეზიდენტს რიგ ქვეყნებში ჰყავს მეგობრები. უწინარეს ყოვლისა, ესენია რუსეთი და კუბა.

– ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მადურო რუსეთში ან კუბაში გადაიხვეწებოდა! ეს მისთვის საუკეთესო გამოსავალია, – ამბობს აბრამსი.

ბულგარელი ბიზნესმენი ნოვიჩოკით არის მოწამლული

დასავლეთში მამა-შვილი სკრიპალების საქმის გარშემო აზვირთებული აჟიოტაჟი არ ცხრება. დადგენილია გრუ-ს კიდევ ერთი აგენტის ვინაობა, რომელიც სკრიპალების მოწამვლაში მონაწილეობდა. მისი ოპერატიული ფსევდონიმია ფედოტოვი.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ფედოტოვი ბულგარელი ბიზნესმენის, გებრევის მოწამვლაშიც მონაწილეობდა. კომპანია, რომელსაც გებრევი ედგა სათავეში, უკრაინას იარაღით ამარაგებდა.

– გებრევი ნოვიჩოკით არის მოწამლული, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სტუდენტმა გოგონამ საკუთარ კარადაში დამალული მამაკაცი აღმოაჩინა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ გრინსბოროში სტუდენტი გოგონას, სახელად მედის კარადაში რამდენიმე დღე უცნობმა მამაკაცმა იცხოვრა. მთელი ამ დროის განმავლობაში კი გოგონა ფიქრობდა, რომ იქ მოჩვენება იმყოფებოდა.

დასვენების დღეებში მედი ამჩნევდა, რომ მისი გარდერობიდან ნივთები იკარგებოდა. შორტები და სპორტული შარვლები, რომლებიც ოდესღაც თავის ადგილას ელაგა, მაგიური ძალით ქრებოდა კარადიდან, ხოლო სააბაზანო ოთახში ვიღაცის ხელების ანაბეჭდები ჩნდებოდა.

მედიმ ოთახში თავის მეზობელთან ერთად მათი მყუდროების დარღვევის მიზეზს მხოლოდ შაბათ დღეს მიაგნო.

– კარადაში რაღაცამ დაიბრახუნა, თითქოსდა იქ ენოტი იყო შემძვრალი. მე ვიკითხე: „მანდ ვინ არის?“ და პასუხად მომესმა: „ოი, მე დრიუ მქვია“. კარადის კარი გამოვაღე და იქ ჩემს ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცი იმყოფებოდა, გვერდით კი ჩემი ტანსაცმლით სავსე ჩანთა ედო, – აცხადებს მედი.

შეშინებულმა გოგონამ მაშინვე თავის შეყვარებულს დაურეკა. სანამ მაშველები მოვიდოდნენ გოგონა მამაკაცს ესაუბრებოდა და ამ გზით ცდილობდა მის ადგილზე შეყოვნებას. ამ დროს კი მამაკაცი მის ქუდს იზომებდა და სააბაზანო ოთახის სარკეში საკუთარ გარეგნობას ამოწმებდა.

საბოლოოდ პოლიციამ მამაკაცი დააკავა. ის 30 წლის ენდრიუ სვოფორდი აღმოჩნდა. კაცი დააპატიმრეს და საოლქო ციხეში გადაიყვანეს, საიდანაც გამოსვლისთვის მას გირაოს სახით 26 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

ახლა მედი და მისი მეგობარი ცდილობენ გაერკვნენ, თუ როგორ შეაღწია უცნობმა მათ ბინაში. მას შემდეგ, რაც 2018 წლის 19 დეკემბერს ორმა მამაკაცმა უკანონოდ შეაღწია მათ საცხოვრებელში, გოგონებმა ყველა საკეტი შეცვალეს და მას შემდეგ კარს საგულდაგულოდ კეტავდნენ.

მატარებლის ქვეშ ჩავარდნილი ბავშვი გადარჩა

ჩინეთში სწრაფმავალი მატარებლის მახლობლად გამართული ფოტოსესიის დროს სამი წლის ბავშვი ლიანდაგებში ჩავარდა.

ინციდენტი ხუბეის პროვინციის ქალაქ უხანის რკინიგზის სადგურზე მოხდა. დედა ბავშვს სურათებს სწრაფმავალი მატარებლის ფონზე უღებდა. კარგი კადრის გადასაღებად მან ბავშვს სთხოვა, ოდნავ უკან დაეხია. ამ დროს მან წონასწორობა დაკარგა, ფეხი დაუცდა და ბაქანსა და მატარებელს შორის დარჩენილ სივრცეში ჩავარდა.

ბავშვის გადასარჩენად სადგურის თანამშრომელი დაუყოვნებლივ ჩახტა ლიანდაგზე. ბავშვი შიშისგან კანკალებდა, თუმცა სერიოზული დაზიანებები არ მიუღია. საბოლოოდ ოჯახმა მგზავრობა შეუფერხებლად გააგრძელა.

თვითმხილველთა თქმით, ბავშვი ცოცხალი რკინიგზის სადგურის თანამშრომლის სწრაფი რეაქციის შედეგად გადარჩა. მან პატარა ბაქანზე ისე სწრაფად ამოიყვანა, რომ მატარებლის გამგზავრებას შეფერხება არც კი შეჰქმნია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● ფოტოსურათით მოგიხსნით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვიანობას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, ჯადო-თვალი-წყევლას, დეპრესიას, უიმედობას, შებოჭილობას, კოშმარულ სიზმრებს, მოუსვენარ ძილს, თვითმკვლელობის სურვილს და სხვა პრობლემებს. ტელ: 599-49-84-23 ნანა. ფირმა „იადიგარ დაუდი“.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველო რუმინეთში 3 დებიუტანტით ჩავიდა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უკვე რუმინეთშია და 9 თებერვალს ქალაქ კლუჟში ადგილობრივ ეროვნულ გუნდს ეთამაშება.

ბორჯღალოსანთა სამწვრთნელო შტაბმა 2019 წლის პირველი მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა და მასში 2 დებიუტანტია. აქედან 2 ძირითადში იქნება.

ფოჩვარდები

შერკინების პირველ ხაზში 2 ახალბედა ბურჯია, რომლებმაც ბორჯღალოსანთა კვართი პირველად ნოემბერში მოირგეს. მარცხენა ბურჯად გურამ გოგიჩაშვილს ვიხილავთ (1 კეპი), მარჯვნივ ბექა გიგაშვილი (2) იდგება, ხოლო კვაჭი გამოცდილი შალვა მამუკაშვილია (61).

მეორე ხაზში გამოცდილ გიორგი ნემსაძეს, რომელსაც ნაკრების ამ შემადგენლობაში ყველაზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული (85), დებიუტანტი დავით გიგაური შეუწყვილდება. 24 წლის მეორეხაზელი რუმინეთის სუპერ-ლიგის ბუქარესტში თამაშობს, მომავალ მოწინააღმდეგეებს კარგად იცნობს და ნაკრების მწვრთნელთა თვალთახედვის არეში ახლახან მოხვდა.

ერთი დებიუტანტი იწყებს მესამე ხაზში – ბექა საღინაძე. მეორე ფლანკერი გიორგი ცუცქირიძეა (13), ხოლო შემკვრელი, ნოემბრის მატჩების მსგავსად, ბექა გორგაძე (14) მოგვევლინება.

შერკინების მარქაფაში დებიუტანტია ახალგაზრდა კვაჭი, 18 წლის ვანო კარკაძე, რომელიც გუნდს ტრავმირებული გიორგი ხუროშვილის ნაცვლად შეუერთდა. კარკაძემ შარშანდელ და შარშანწინდელ 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალებში, საფრანგეთს თითო-თითო ლელო გაუტანა, პრო დე 2-ის მიმდინარე სეზონში კი უკვე სამჯერ ითამაშა.

ბურჯებად შეცვლაზე თორნიკე მატარაძე (6) და გამოცდილი ლევან ჩილაჩავა (43) შევლენ, მეორე ხაზს ნოდარ ჭეიშვილი (18) გააძლიერებს, ხოლო მესამეს გიორგი თხილაიშვილი (46).

მიღთონ ჰეიგი:

– კარკაძე ძალიან კარგი, ახალგაზრდა მორაგბეა, რომელიც უკვე თამაშობს ორიაკის შემადგენლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ ხუროშვილი დაშავდა, ხოლო ჯაბა ბრეგვაძე გამოცდილებას სუპერ რაგბიში მიიღებს, გადავწყვიტეთ ვანოსთვის შანსი მიგვეცა. მისი თამაშები გრეემ როუნთრიმაც ნახა და კმაყოფილი დარჩა. კარკაძეს 18-წლამდელთა ნაკრებიდან ვიცნობ და ამ 5 დღის განმავლობაშიც ჩვენზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. პირველ ხაზში გვყავს ტოპ 14-ის მოთამაშეები: გურამ გოგიჩაშვილი წარმოუდგენლად კარგი მოთამაშეა; ბექა გიგაშვილი გრენობლში კვირიდან კვირამდე თამაშობს; ლევან ჩილაჩავა ძალიან კარგ ფორმაშია. მეორე ხაზში ვნახავთ გიგაურს, რომელიც რუმინეთში თამაშობს, ხშირად უწევს ამ მორაგბეების წინააღმდეგ თამაში, კარგად გამოიყურება და ჩვენთვის საინტერესო მორაგბეა. იქვეა გამოცდილი ნემსაძე, რომლის შესახებ კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. საღინაძე, ცუცქირიძე და გორგაძე – ეს ის მესამე ხაზია, რომელიც ძალიან საინტერესოა და კარგად მუშაობს. ვფიქრობ, ამ მომენტისთვის საუკეთესო, ახალგაზრდა მესამე ხაზია.

ხაზი

ღერძი ისეთივე იქნება, როგორიც ნოემბრის ტესტებზე იყო: 9 ნომრად ვასილ ლობჟანიძე იწყებს, რომელიც რუმინეთთან მე-40 კეპს მოიხვეჭს, ხოლო მგზავად 19 წლის თედო აბჟანდაძეს ვიხილავთ, რომელსაც სანაკრებო დებიუტი ნოემბერში სამოასთან ჰქონდა და მერე ტონგას წინააღმდეგ ითამაშა.

ცენტრში გუნდის კაპიტანი მერაბ შარიქაძე (60) და გიორგი კვესელაძე (14) შეწყვილდებიან, ფულბეკად კი, ნოემბრის თიბისი სერიების მსგავსად ლაშა ხმალაძე მოგვევლინება და 70-ე კეპს მოიხვეჭს. ფრთებზე გამოცდილი სანდრო თოდუა (75) და ზურაბ ძნელაძე (4) დადგებიან, რომელმაც შემოდგომაზე ნაკრების სამივე თამაშში მიიღო მონაწილეობა და მწვრთნელებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

9 ნომრის მარქაფაშია გელა აფრასიძე (11), ხოლო ხაზში მირიან მოდებაძე (3) და გიორგი აფციაური (22) გამოჩნდებიან, რომლებსაც დიდი ხანია, ბორჯღალოსანთა კვართით აღარ უთამაშიათ: მოდებაძემ სამივე კეპი 2017 წლის ნოემბერში მოიხვეჭა, ხოლო აფციაური ნაკრებს 2016 წლის ნოემბრის შემდეგ უბრუნდება.

ბორჯღალოსნებმა რუმინეთში გამგზავრებამდე ჟურნალისტებისა და ქომაგებისთვის ღია ვარჯიში გამართეს. მისი დასრულების შემდეგ ტრადიციული კომენტარები გაკეთდა.

ლევან მაისაშვილი:

– რუმინეთის ნაკრები ამ ტურნირზე მუდამ ჩვენი უშუალო კონკურენტია. წელს რაგბი ევროპას არატრადიციული თანმიმდევრობა აქვს და პირველ მატჩს რუმინეთთან ვმართავთ. პირველი შეხვედრა ყოველთვის რთულია და განსაკუთრებულ მობილიზებას მოითხოვს. იოლ შეხვედრას არ ველოდებით, თუმცა მომზადებულები ვართ და ვეცდებით გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გავიღოთ. რუმინეთის სტილია, რომ შეჯგუფებებში, ძალისმიერ თამაშში უპირატესობა მოიპოვოს და სწრაფ ხაზს სივრცეების გამოყენების საშუალება მისცეს, ასევე სიურპრიზების სახით ფეხით თამაში.

ლევან ჩილაჩავა:

– რთული თამაში გველის, რადგან რუმინეთი ჩვენთან შეხვედრაზე გასაკუთრებულად არის კონცენტრირებული. მათ მხოლოდ საქართველოსთვის, ფაქტობრივად, ყველა ლეგიონერს უხმეს. 2 კვირაა ერთად ვართ და ვემზადებით, კარგი შეკრება გავიარეთ და იმედია ყველაფერი წარმატებით დასრულდება. ახალ ბიჭებს ტოპ 14-ში თამაშის გამოცდილება აქვთ, ლიდერები არიან თავიანთ პოზიციაზე, გუნდსაც მარტივად შეერწყნენ ამ მხრივ პრობლემა არ იქნება. 2 წლის წინ რუმინეთში შერკინებაში გაგვიჭირდა და წარმატებას ვერ მივაღწიეთ, ახლაც გადამწყვეტი ეს კომპონენტი იქნება და, დარწმუნებული ვარ, აქ უპირატესობა ჩვენ გვექნება.

ჯანო ანანიძე: „ახლა ან არასოდეს!“

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯანო ანანიძე ტრავმის შემდეგ მომჯობინდა და ახლა კრილია სოვეტოვთან ერთად გადის შეკრებას.

შეგახსენებთ, ჯანომ მოსკოვის სპარტაკი იჯარით დატოვა და სამარულ კლუბს შეუერთდა. საერთოდ, ანანიძე ჟურნალისტებთან ცოტას საუბრობს, მაგრამ ამჯერად ვრცელი ინტერვიუ გამოვიდა.

– როგორ მოხვდით კრილიაში?

– შვებულებაში ვიყავი. დამირეკეს. ვიცოდი, სათამაშო პრაქტიკა მჭირდებოდა. მე ხომ ნახევარი წელი არ მითამაშია.

– სპარტაკიდან დაგირეკეს?

– დიახ, კრილიადანაც. იქ შიკუნოვი მუშაობს, რომელიც ჩემთვის უცხო ნამდვილად არაა. როსტოვიდან ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. პირველი მოთხოვნა ჩემზე სწორედ სამარიდან მოვიდა.

– მაშინვე დათანხმდით?

– პაუზა ავიღე, რადგან აგენტმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემი სამსახურით ვიტესი იყო დაინტერესებული.

– აქედან დაწვრილებით მოგვიყევით...

– ჰოლანდიელთა წინადადება ძალიან სასიამოვნო იყო. საქართველოში ვისვენებდი, ახალი წლის შემდეგ სლუცკის დავურეკე, მან დაინტერესება დამიდასტურა და მითხრა, რომ უნდოდა, მის გუნდში გადავსულიყავი.

– ისევ პაუზა აიღეთ?

– დავთანხმდი. სპარტაკს ვუთხარი, რომ ჩემთვის ევროპა პრიორიტეტული იყო და დამთანხმდნენ. ეს ფინანსურად ჩემთვის წამგებიანი გახლდათ, თუმცა მაინც ვიტესში მსურდა გადაბარგება.

– ჰოლანდიელებმა იმაზე ნაკლები ხელფასი შემოგთავაზეს, ვიდრე სპარტაკში იღებდით?

– კლუბები ალბათ, ამ საკითხს როგორმე გადაჭრიდნენ, მაგრამ ევროპაში სულ სხვანაირი საგადასახადო სისტემაა. ასე რომ, ხელზე ნაკლებს ავიღებდი. თუმცა, წინადადება ძალიან მომეწონა, ფინანსური მხარე მთავარი არ იყო. საკითხის გადასაჭრელად თბილისიდან 3 იანვარს გავფრინდი. როდესაც საბუთების გაფორმება დავიწყეთ, რაღაც არ გამოვიდა. შესაძლოა, ევროკავშირში არაევროკავშირელი ფეხბურთელების ლიმიტმა იმოქმედა ან შეძენილ და იჯარით აყვანილ მოთამაშეებზე სხვადასხვა კანონმა. მხოლოდ ის ვიცი, რომ სპარტაკმა და სლუცკიმ მხარი დამიჭირეს.

ვურთიერთობ გურამ კაშიასთან, რომელიც მრავალი წელი ასპარეზობდა ვიტესში. ის დარწმუნებული იყო, რომ ყველაფერი უპრობლემოდ მოგვარდებოდა. სამწუხაროდ, ჰოლანდიური მხარისგან შეიქმნა პრობლემა.

– კრილია მოთმინებით გელოდათ?

– შიკუნოვსა და ბოყოვიჩს ვუთხარი, რომ თუ ვიტესის ვარიანტი არ გამომივიდოდა, აუცილებლად მათ გუნდში გადავიდოდი. მიოდრაგთან კარგი მოგონებები მაკავშირებს. ასეც მოხდა. ახლა ზამთრის შეკრებაა, სადაც ფორმაში ჩადგომა შემიძლია. ამოცანა პრემიერლიგაში დარჩენაა. ვიბრძოლებთ.

– რომ არ გათამაშებდნენ, რიტმიდან ვარდებოდით?

– დაახლოებით. 3-4 კვირა მატჩების გარეშე ძნელია. ნაკრებში ჩავდივარ და სამდღიან ინტერვალში ორჯერ შეუცვლელად ვთამაშობ და ყველაფერი ნორმალურადაა. როსტოვშიც მუდამ 90 წუთი ვთამაშობდი და იქაც ყველაფერი წესრიგში მქონდა. სპარტაკში სხვანაირად იყო. იქნებ მიზეზი ჩემში იყო? თუმცა, ყველაფერს ძველებურად ვაკეთებ, რეჟიმს ვიცავ, ღამის კლუბებსა და წვეულებებზე არ დავდივარ, ვინაიდან ოჯახი მყავს, მაქსიმალურად ვვარჯიშობ. რატომ მოხდა ასე? ვერ აგიხსნით.

– სპარტაკის ფიზმომზადების მწვრთნელ დურბანოსთან მუშაობაზე რას იტყვით?

– ამ კითხვაზე 6 ფეხბურთელის მიერ ჯვარედინი მყესების ტრავმის მიღება ყველაზე უკეთ გაგცემთ პასუხს. მისი მეთოდიკა მისი წინამორბედების მეთოდიკისგან განსხვავებული იყო. დაფაზე ვხტებოდით, ტრენაჟორებზე ვვარჯიშობდით, რომლებიც მაშინ შემოიტანეს. ფრენბურთელებად ვგრძნობდით თავს. სწორი იყო თუ არა ვერ გეტყვით, მაგრამ ექვსმა ფეხბურთელმა ტრავმა მივიღეთ.

– ტრენაჟორებზე ფეხებით სიმძიმეებს გაწევინებდნენ?

– დიახ. მე და ზე ლუისი ერთნაირ სიმძიმეებს ვწევდით. 90-კილოგრამიანებს, მე კი 63 კგ ვარ. ზე ლუიშს არა, მაგრამ მე გამიჭირდა. ასე მგონია, ეს მთლად სწორი არ არის.

– რაც თამაშობთ, სულ გსაყვედურობენ, რომ კუნთის მასა მწირი გაქვთ. რას ფიქრობთ იმაზე, რომ წონაში უნდა მოიმატოთ?

– დაე ილაპარაკონ. რა, როსტოვში სხვა წონა მქონდა? იგივე. მოედანიც იგივე, ბურთიც, მეტოქეებიც, თვით ჟურნალისტებიც კი. ხომ გამომდიოდა? ამას გარდა, სპარტაკში უფრო უკეთესი პარტნიორები მყავდა. ვფიქრობ, საქმე მხოლოდ ნდობაშია.

– ყური არ უგდეთ მწვრთნელებს, რომ წონაში მოგემატებინათ? ტორტი გეჭამათ, მწვადი, კისელი დაგეყოლებინათ...

– ბევრს ვჭამ. ჰკითხეთ სამედოვს, შეკრებაზე ერთად ვსადილობთ. ვერ ვიმატებ. 65 კგ-ს ვერ ვცდები. როდესაც თამაში დავიწყე, 61 კგ ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ 2 კგ მოვიმატე. ცუდია? არა მგონია, ლუკა მოდრიჩი 66 კგ იყო. წონაში რომ მოემატა, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ვერ გახდებოდა. შეიძლია 90 წუთი ვირბინო. რაში მჭირდება წონა? ყველა ხომ რონალდოსა და ლუკაკუს დარი ათლეტური აგებულების ვერ იქნება. ბრძოლას არ ვერიდები. თუ თამაში იცი და ტვინი გაქვს, არაა აუცილებელი, გიგანტი იყო.

– საქართველოში გატარებული შვებულების შემდეგაც არ იმატებთ?

– ქართული სამზარეულოს შესახებ ყველამ იცის, მაგრამ 1 კგ-ზე მეტს ვერ ვიმატებ, თან, ვარჯიშების გარეშე, რადგან ოპერაციის შემდგომი პერიოდი იყო. ვისაც ჯვარედინი მყესების ტრავმა ჰქონდა, 10-12 კგ მოიმატა, მე – 1 კგ.

– თუ ფეხბურთელი 25 წლის შემდეგ განათხოვრებულია, უნდა დაფიქრდეს, რომ რაღაც ისე არ მიდის. სიმართლეს ვამბობ?

– ამაზე ტრავმის შემდეგ დავფიქრდი. ყოველი ვარჯიშის მერე სატრენაჟორო დარბაზში მივდივარ, რასაც ადრე არ ვაკეთებდი. დანარჩენი დრო ჩემს განკარგულებაშია.

– სამარაში ოჯახით გადახვალთ?

– არ ვიცი. ჯერ იქ არ ვყოფილვარ. თურქეთიდან 2 მარტს ლოკომოტივთან სათამაშოდ გავფრინდებით და მხოლოდ შემდეგ ჩავალ სამარაში. ჩემპიონატის დასრულებამდე 2.5 თვე დარჩა და არ ვარ დარწმუნებული, რომ ოჯახის წაყვანა საჭიროა. რაც არ უნდა იყოს, ბავშვები პატარები არიან.

– ძიუბასთან ერთად როსტოვში თამაშობდით. ეხმიანებით ერთმანეთს?

– მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ მაგრად თამაშობდა, ყველა მატჩის მერე ვწერდი.

– ახლა საქართველოს ნაკრებს როგორ აქვს საქმეები?

– ევროპის ჩემპიონატზე გასვლის დიდი შანსი გვაქვს. მარტში ბელარუსს ვხვდებით. რეიტინგით ჩვენ უფრო მაღალი პოზიცია გვიკავია, ამიტომ მასპინძლები ვართ. თუ დავამარცხეთ, მაკედონიას ან კოსოვოს დავუპირისპირდებით. ასეთი შესაძლებლობა მეტად არ გვექნება – ახლა ან არასოდეს. ევროპირველობაზე შესარჩევ ჯგუფში სერიოზული მოწინააღმდეგეები გვყავს: შვეიცარია, დანია, ირლანდია. იქ რთული იქნება. ერთა ლიგიდან გასვლა გაცილებით ადვილია და ეს ძალიან გვინდა. რეალური შანსია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოლ სტარი ფრედ დასრულდა, საუკეთესო მარკ ოგდენი გახდა

სუპერლიგის 2019 წლის „ყველა ვარსკვლავის“ მატჩი-აქცია ქუთაისში გაიმართა, რომელიც, ტრადიციულად, უხვქულიანი, ეფექტური ეპიზოდებით გაჯერებული და მაყურებლისათვის საინტერესო გამოდგა. სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშეები ქუთაისში ოლ სტარის სათამაშოდ უკვე მესამედ შეიკრიბნენ, რითაც საკმაოდ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. მეტოქე გუნდები ლეგიონერებისგან და ადგილობრივი მოთამაშეებისგან დაკომპლექტდა.

მატჩი

ოლ სტარისთვის მონაწილეები სუპერლიგის ვებგვერდზე მიმდინარე გამოკითხვის შედეგად შეირჩა, სათადარიგოები კი მწვრთნელებმა შეავსეს. ადგილობრივი მოთამაშეების გუნდს კოტე ტუღუში (ქუთაისი) და ბუბა ბერიშვილი (მგზავრები) უძღვებოდნენ, ხოლო ლეგიონერებს – ირაკლი ხოშტარია (დინამო) და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (თსუ-ჰიუნდაი).

მატჩი ტრადიციულად სანახაობრივად, ჯარიმების მაქსიმალური სიმცირით წარიმართა. ორივე გუნდის წევრები ცდილობდნენ, ქუთაისის სპორტის სასახლეში მოსული გულშემატკივრისთვის ლამაზი სანახაობა ეჩვენებინათ. შეხვედრაში დაცვა ნაკლებად გამოიყენებოდა და შესაბამისად, მაღალი ანგარიში დაფიქსირდა – 134:134. დიახ, მატჩი ფრედ დასრულდა, რაც წესით ოვერტაიმის საფუძველი უნდა გამხდარიყო, თუმცა გამარჯვებულის გამოვლენა საჭირო არ გახდა. გაიმარჯვა სუპერლიგის ქართველი და უცხოელი მოთამაშეების მეგობრობამ.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ინდოელი მშობლებს თავისი გაჩენისთვის უჩივლებს

ინდოეთის მკვიდრი აპირებს, სასამართლოში სარჩელი შეიტანოს საკუთარი მშობლების წინააღმდეგ იმის გამო, რომ მათ ის მისი თანხმობის გარეშე გააჩინეს.

ქალაქ მუმბაის მკვიდრმა რაფაელ სამუელმა განაცხადა, რომ ანტინატალისტების მოძრაობას უერთდება. 27 წლის მამაკაცი და მისი თანამოაზრეები ფიქრობენ, რომ ამ სამყაროში ბავშვებს მხოლოდ ტანჯვა-წვალება ელით და ამიტომ ადამიანები არ უნდა მრავლდებოდნენ. სამუელი ბავშვების დაბადებასა და აღზრდას „მოტაცებასა და მონობას“ ადარებს.

ამასთან, მამაკაცი საკუთარ დამოკიდებულებას მშობლების მიმართ „კარგს“ უწოდებს.

– მე მიყვარს ჩემი მშობლები, კარგი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ მათ მე საკუთარი სიამოვნებისთვის გამაჩინეს. შესანიშნავი ცხოვრება მქონდა, თუმცა არ მესმის, რა საჭიროა დროის სკოლაში სწავლასა და შემდეგ საკუთარ კარიერაზე დაკარგვა, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ ამქვეყნად დაბადება თავად არ გითხოვია, – აცხადებს სამუელი.

სამუელს საკუთარი გვერდი აქვს ფეისბუქზე, სადაც საკუთარ იდეებს უზიარებს თანამოაზრეებსა და ხელისმომწერებს. ის მშობლებს პირფერებს უწოდებს და აქვეყნებს სურათებს წარწერებით: „თუ მშობლებმა მართლაც იციან, რა სჭირდებათ ბავშვებს, მაშინ, რატომ გააჩინეს?“ ან „განა ადამიანის ამ სამყაროში ძალდატანებით მოვლინება, შემდეგ კი იძულებით მუშაობა მოტაცება და მონობა არ არის?“

მამაკაცისა და მისი კიდევ ერთი თანამოაზრის პრატიმა ნაიკის მტკიცებით, მათ შეხედულებებს სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი იზიარებს.

სპილოები მონადირეებს კაციჭამია ვეფხვის დაჭერაში დაეხმარნენ

სამხრეთ ინდოეთში დაიჭირეს ვეფხვი, რომელიც ორი ადამიანს მოკვლაშია ეჭვმიტანილი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ორივე დაღუპული ერთ სოფელში ცხოვრობდა. ოთხი დღის განმავლობაში მომხდარი ორი თავდასხმის შემდეგ დაღუპულების თანასოფლელებმა ხელისუფლებას ამ პრობლემის მოგვარება მოსთხოვეს. ისინი მომხდარში ტურიზმის ზრდას ადანაშაულებდნენ. ვეფხვს კარნატაკას შტატში მდებარე ეროვნული პარკის მახლობლად მიაგნეს. შვიდმა განწვრთნილმა სპილომ მტაცებელი ალყაში მოიქცია, რის შემდეგაც ვეტერინარმა მას ტრანკვილიზატორი ესროლა და დააძინა, ხოლო უკვე ამის შემდეგ ის ბადეში მოაქციეს და გალიაში ჩასვეს. მისი ნაკრძალში გადაყვანა იგეგმება.

სატყეო მეურნეობის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს, რომ ვეფხვს ფეხი აქვს დეფორმირებული. ეს მას ნადირობაში ხელს უშლიდა და სწორედ ამის გამო დაიწყო მან ადამიანებზე თავდასხმა.

ინდოელი ტახს შიშველი ხელებით გაუმკლავდა

ინდოეთში მამაკაცმა შიშველი ხელებით მოიგერია ტახი, რომელიც ბუჩქებიდან მოულოდნელად გამოხტა და მას თავს დაესხა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ვიდეოპორტალმა გამოაქვეყნა.

ინციდენტი ჩხატისგარხის შტატის ქალაქ დხამტარის მახლობლად იმ დროს მოხდა, როდესაც 43 წლის რაჯეშ სახუ სახლში მიდიოდა. ბუჩქებიდან, ზურგის მხრიდან მას ტახი დაეძგერა. ცხოველმა ის ძირს დააგდო და ხელებსა და ფეხებზე კბენა დაუწყო.

ინდოელმა სწრაფად გონს მოსვლა მოახერხა და ტახს ფეხები დასცხო. თავდასხმის შემსწრე ადამიანების ყვირილმა კი გარეული ცხოველი დააფრთხო და გააქცია. დაშავებული სახუ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

– ძალიან გამიმართლა, რომ ცოცხალი გადავრჩი, – განაცხადა ინდოელმა.

ხელისუფლების მონაცემებით, იგივე ტახი კიდევ ორ ქალს დაესხა თავს. სატყეო მეურნეობის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ ცხოველს აუცილებლად დაიჭერენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კოსმეტოლოგმა ქალის სხეულზე კიბოს ნიშნები შენიშნა და გადაარჩინა

დიდ ბრიტანეთში კოსმეტოლოგმა თავისი კლიენტის სხეულზე ავთვისებიანი სიმსივნე ადრეულ სტადიაში შენიშნა და ქალი კიბოსგან გადაარჩინა.

ქალაქ ჩიზლჰერსტის მცხოვრები ჯეინ ჰობსი კოსმეტოლოგთან კანის მოვლის პროცედურის ჩასატარებლად მივიდა. სეანსის დროს ერიკა ჰოჯკინსის ყურადღება 44 წლის ქალის მკერდზე ხალმა მიიქცია. შვებულების შემდეგ ქალს ხალი გამუქებული ჰქონდა, თუმცა თავად ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.



კოსმეტოლოგმა იეჭვა, რომ ჰობსს მელანომა გაუჩნდა და ურჩია, ექიმისთვის მიემართა. ქალმა მისი რჩევა ყურად იღო და თერაპევტთან მივიდა, რომელმაც ის დერმატოლოგთან გადაამისამართა. ექიმმა პაციენტს ხალის მოშორება შესთავაზა და მისი ქსოვილების ანალიზი აიღო. აღმოჩნდა, რომ ქალს მართლაც განუვითარდა მელანომა. ჰობსს სიმსივნის გარშემო მოაცილეს კანი, რათა მისი გავრცელება შეეჩერებინათ.

– სახეზე საკმაოდ დიდი ნაიარევი გამიჩნდა, თუმცა, სამაგიეროდ, რაც მთავარია, ცოცხალი ვარ, – აღნიშნა ჰობსმა და კოსმეტოლოგის უსაზღვროდ მადლიერია.

ოლ სტარი ფრედ დასრულდა, საუკეთესო მარკ ოგდენი გახდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მატჩის ბომბარდირი გახდა და საბოლოოდ უძვირფასესი მოთამაშის პრიზი დაიმსახურა ოლიმპის ამერიკელმა ცენტრმა – მარკ ოგდენმა, რომელმაც 25 წუთში 30 ქულა მიითვალა. ლეგიონერთა შორის 21 ქულით მისივე თანაგუნდელი ჩარლზ ბენეტი გამოირჩა. 18 ქულა ჯორდან სვოპშირის ანგარიშზე დაგროვდა.

ადგილობრივი მოთამაშეების გუნდში საუკეთესო შედეგი ოთარ ფხაკაძემ და აკაკი დვალიშვილმა დააფიქსირეს. დელტას უკანახაზელმა 21 ქულა, 5 მოხსნა და 4 პასი მიითვალა, ქუთაისის ცენტრმა კი 20 ქულას 10 მოხსნაც მოაყოლა. 19 ქულა ჰქონდა ქუთაისელ გიორგი ბარბაქაძეს.

სამქულიანების კონკურსი

3-ქულიანების კონკურსის მონაწილეები პერიმეტრის 5 სხვადასხვა წერტილიდან 5-5 ბურთს ესროდნენ. 25 სროლისთვის მონაწილეს 1 წუთი ჰქონდა გამოყოფილი. თითოეუელი ჩაგდებული ბურთი 1 ქულად ფასობდა, ხოლო ყოველი წერტილიდან სასროლი ბოლო, მე-5 ბურთი 2-ქულიანი გახლდათ. პირველ ეტაპს 2 ფინალისტი უნდა გამოევლინა.

კონკურსში მიმდინარე სუპერლიგის 6 საუკეთესო სნაიპერი მონაწილეობდა: ოთარ ფხაკაძე (დელტა), ჯორდან სვოპშირი (დინამო), ერეკლე ლორთქიფანიძე (რუსთავი), მალკოლმ დრამრაითი (დელტა), ჯონათან ლი (ქუთაისი) და გასული წლის ოლ სტარის სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული რეზო ჩაჩანიძე (მგზავრები).

ფინალში რეზო ჩაჩანიძე (19 ქულა) და ჯონათან ლი (21) გავიდნენ. გადამწყვეტი შერკინება ქუთაისის ამერიკელმა უკანახაზელმა მოიგო. ფინალში ლის ჩაგდებულ 23 ქულას ჩაჩანიძემ 21-ით უპასუხა და გამარჯვება ადგილობრივთა სნაიპერს დარჩა, რომელმაც სპატიო ჯილდო მოიგო.

ჩატენვების კონკურსი

ეფექტურ გდებებში ერთმანეთს 3 მონაწილე ეჯიბრებოდა: მარკ ოგდენი, ჩარლზ ბენეტი (ორივე ოლიმპი) და ჯეიმს მილიკენი (თსუ-ჰიუნდაი). ჟიურის წევრები გახლდნენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის საშეჯიბრებო დეპარტამენტის უფროსი ალეკო პეტრიაშვილი, ფიბა-ს დამსახურებული არბიტრი და საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში მსაჯთა ეროვნული ინსტრუქტორი დრაგან ნეშკოვიჩი, საერთაშორისო კლასის არბიტრი, როლანდ ხომერიკი და ვეტერანი კალათბურთელი, მიხეილ ქორქიას და ზურაბ საკანდელიძის თანაგუნდელი გენო ჭეიშვილი.

სამივე მონაწილე ერთმანეთს პირდაპირ ფინალში დაუპირისპირდა, რომელიც ყველა ვარსკვლავის მატჩის დასრულებისთანავე გაიმართა. გამარჯვება ოლიმპელ მარკ ოგდენს დარჩა, რომელმაც ჟიურისგან ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მატჩისა და ჩატენვების კონკურსის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. აქციის ყველა მონაწილე – მოთამაშეები, მწვრთნელები და ექიმები სპეციალური, ვარსკვლავის ფორმის მედალიონებით საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის საშეჯიბრებო დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა – ალეკო პეტრიაშვილმა და ზვიად კოტრიკაძემ დაჯილდოვეს.

სამქულიანების კონკურსის გამარჯვებულ ჯონათან ლის სპეციალური პრიზი და სნაიპერობის დამადასტურებელი დიპლომი ზვიად კოტრიკაძემ გადასცა, ხოლო ჩატენვების კონკურსის გამარჯვებული მარკ ოგდენი ალეკო პეტრიაშვილმა დაჯილდოვა.

ბოლოს მატჩის საუკეთესო მოთამაშე (მვპ) – მარკ ოგდენი დაჯილდოვდა, რომელსაც შესაბამისი პრიზები საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა – პაატა გურასპაულმა გადასცა.

მვპ და კონკურსების გამარჯვებულები სუპერლიგისა და საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ტექნიკური პარტნიორის, „ტიფლისტექსის“ წარმოებული წინდების მრავალფეროვანი კომპლექტით დაჯილდოვდნენ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი

9 თებერვლისთვის

ვერძი – ახალი ნაცნობობა იღბლიანია. საქმიანი კონტაქტებისთვისაც შესაფერისი დღეა. გეგმებს იდეალურად განახორციელებთ. **კურო** – თუ რაღაც ისე არ გამოგივათ, როგორც გსურდათ, ნუ დაღონდებით. ბოლო კეთილია. **ტყუპები** – უსიამოვნო განწყობა გაქვთ, რაც გარშემომყოფების აგრესიას იწვევს. ემოციებს ნუ გამოავლენთ. **კირჩხიბი** – რეალური ცხოვრება თქვენს შინაგან სამყაროზე თანდათან სულ უფრო მეტად აისახება. გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს. **ლომი** – ინტუიცია გიმახვილდებათ. გულის კარნახით იმოქმედეთ. სხვის აზრს ყურადღებას ნუ მიაქცევთ. **ქალწული** – მთლიანობაში, კეთილისმყოფელი დღეა. ეცადეთ, ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ. **სასწორი** – რისკი გაუმართლებელია. კრიტიკული დღეა. კომერციული ოპერაციები სხვა დროისათვის გადადეთ. **ღრიანკალი** – თვითგამოხატვისთვის შანსი გეძლევათ. განსაკუთრებით გაუმართლებთ ხელოვანებს. **მშვილდოსანი** – წარმატების მიღწევაში თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა დიდ როლს ითამაშებს. ერიდეთ კონფლიქტს საყვარელ ადამიანთან. **თხის რქა** – გელით საინტერესო ახალი ნაცნობობა. საქმიანი შეხვედრები ნაყოფიერი იქნება. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. იზრუნეთ სულიერ განვითარებაზე. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **თევზები** – მსხვილი შენაძენისათვის იღბლიანი დღეა. ნავაჭრით ნამდვილად კმაყოფილი დარჩებით.

10 თებერვლისთვის

ვერძი – საეჭვო ნაცნობებს ერიდეთ. ფინანსური კუთხით ზარალია მოსალოდნელი. **კურო** – ემოციურად დაძაბული დღეა. მიზნისკენ სწრაფვაში დაბრკოლებები იჩენს თავს. **ტყუპები** – დაბნეული ხართ, რაც შეცდომის დაშვების რისკს ზრდის. ნებისყოფა მოიკრიბეთ და სიტუაცია საღად შეაფასეთ. **კირჩხიბი** – სამსახურში პრობლემები გელით. ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი მწიფდება. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ლომი** – საკუთარ თავზე ბევრს ნუ აიღებთ. მხოლოდ ის მოვალეობა შეასრულეთ, რომელიც უშუალოდ გეკისრებათ. **ქალწული** – პროვოკაციული დღეა. ინტრიგებში ნუ ჩაერთვებით. თქვენი საქმე თავმდაბლად აკეთეთ. **სასწორი** – ახალ ინფორმაციას ნუ მიენდობით. გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით. **ღრიანკალი** – ნებისმიერი საქმიანი შემოთავაზება მისაღებია. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **მშვილდოსანი** – ემოციური დაძაბულობის გამო, შესაძლოა, შეცდომა დაუშვათ. დაბრკოლებებს ნუ შეუშინდებით. **თხის რქა** – ჯანმრთელობას სერიოზულად მიხედეთ. მოსალოდნელია ქრონიკული დაავადებების გამწვავება. **მერწყული** – სასიცოცხლო ძალები გემატებათ. იზრდება თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა. გიმართლებთ. **თევზები** – პირადი ცხოვრება დროებით უკანა პლანზე გადადეთ. მთელი დრო და ენერგია საქმეს მოახმარეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. მუსლიმანური სამლოცველო; 2. თმის შესაღები მოწითალო-ყვითელი საღებავი; 3. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის“ ავტორი; 4. მუსიკალური გამის პირველი ბგერა; 5. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 6. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 7. ოჩამჩირის ძველბერძნული სახელწოდება; 10. ოჩიაურის ქანდაკება ბიჭვინთაში; 11. ქალღმერთ ათენას ტაძარი ათენში; 12. კარსტული მღვიმე იმერეთში; 13. მდინარე თბილისში; 16. ქართული ლუდი; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 21. ხორცის პროდუქტი; 24. უნგრული ღვინო.

თარაზულად: 1. ქურციკის თურქული სახელწოდება; 3. ისრაელის დაზვერვა; 8. ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 14. დადგენილი წილი, ნორმა; 15. რკინიგზის ვაგზლის ბაქანი; 17. რკინის მადნიდან გამოდნობილი ნახშირბადის შემცველი ლითონი; 20. ქართველი კინორეჟისორი; 22. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 23. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი; 26. დიპლომატიური წარმომადგენელი; 27. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 28. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული.

შეადგინა თ.ვოგინაშვილმა



წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჯარა; 2. ტორფი; 3. ოპიუმი; 5. პეტრა; 6. ჩურჩხელა; 8. გოლფსტრიმი; 10. ესკადრა; 12. სისტოლა; 14. მექისე; 15. პანიკა; 16. სტელა.

თარაზულად: 1. ჯალიტა; 4. აპალაჩი; 7. ყურანი; 9. მირაჟი; 11. გლობუსი; 12. საინგილო; 13. ბახუსი; 17. იბერია; 18. ციხე; 19. ალტრუიზმი; 20. ვილაიეთი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პარკუჭი; 2. ლაქმი; 3. სემაფორი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. კლაქსონი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტბალი; 19. კინო; 20. სარი.

თარაზულად: 5. ვალენსია; 6. ედელვაისი; 9. სულიკო; 10 მესეფი; 11. სანტე; 13. გაუდი; 15. კოპოლა; 18. მორფი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. ბოსფორი.

ჯაბა ბოჯგუა 10 წელია კომაშია

მომღერალი ჯაბა ბოჯგუა 10 წელია, კომაშია. მისი ცხოვრება ორ ეტაპად არის გაყოფილი – დაჭერამდე და დაჭერის შემდეგ. ზუსტად 10 წლის წინ მომღერალი ციხეში შეუძლოდ გახდა და კომაში ჩავარდა. ზუსტად 10 წელია, დედა, მანანა გვასალია, მომღერალს უვლის და მის გამოჯანმრთელებას ელოდება.

მანანა გვასალია:

– 8 თებერვლის დილა იყო მაშინაც... 10 წლის წლის წინ...

10 წელია, ზუსტად ვიცი, რომ სიცოცხლე შენ გამო მინდა...

10 წელია, ყოველ წუთს ველოდები შენს გამოჯანმრთელებას...

10 წელია, მინდა, შენი სიყვარულით სავსე თვალები დავინახო...

10 წელია, შენს გულს ვდარაჯობ...

10 წელია, შენ ხარ გათენება ჩემი...

მიყვარხარ, დედი...

შენით ვარსებობ და შენით ვსუნთქავ...

შენ ხომ ჩემი გულის ძგერის ერთადერთი მიზეზი ხარ...

დავით აღმაშენებლის ეპოქის უნიკალური ხელნაწერები გამოფენილია



მეფე დავით აღმაშენებლის ერთადერთი ხელმოწერა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული.

დავით აღმაშენებლის ხსენების დღესთან დაკავშირებით მისი ხელმოწერა და იმ ეპოქის უნიკალური ხელნაწერები გამოიფინა.

რეზო კლდიაშვილი, დრამატურგი:

– ამ ცისქვეშეთში ერთადერთი ხელის მოწერა მეფეთმეფისა და წმინდანის დავით აღმაშენებლის, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოიფინა დავითის ეპოქის უნიკალური ხელნაწერები.

მხოლოდ ერთი დღით კი – „გელათის ოთხთავი“.

პეტრე ოცხელის ნამუშევრები გერმანიაში უკანონოდ გამოიყენეს



ქართველი მხატვრის პეტრე ოცხელის ნამუშევრები გერმანიაში უკანონოდ გამოიყენეს. ინფორმაცია ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

– ჩვენზე გადაკიდებული თუ გამოკიდებული ლაყაფი თავის „მრევლს“ უმტკიცებდა, რომ ჩვენი მუზეუმის ექსპონატებზე ფოტოგადაღებისათვის არანაირი სახელმწიფო ნიხრი არ უნდა არსებობდეს.

ახლა კი ბერლინიდან, აი, ეს ფოტომასალა მივიღე. ვიღაცას გერმანიის დედაქალაქში ბიზნესი დაუწყია, ბრწყინვალე რესტორანი მოუწყვია, რომელიც ჩვენთან და მარჯანიშვილის თეატრში დაცული პეტრე ოცხელის ნამუშევრებით მოურთავს, ეს ნახატები განუთავსებია კედლებზე, თეფშებზე და ა.შ.

ამ ფაქტის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ ამას სხვისი უფლებების დარღვევის ხარჯზე საკუთარი ბიზნესის კეთება ჰქვია. არსადაა მითითებული არც ავტორის ვინაობა, არც მუზეუმი, სადაც ეს ნახატები ინახება! ანუ ტიპს საკუთარი ბიზნესის კეთება ისე უნდა, რომ სანაცვლოდ პოპულარიზაციასაც კი არ უწევს არც მხატვარს და არც ამ მემკვიდრეობის მომვლელს და მფლობელს!

მსოფლიოში ეს ასე არსად ხდება! რესტორნის მფლობელს არ მოუმართავს ჩვენთვის და სახელმწიფო ნიხრის გადახდაზე არცაა ლაპარაკი, მხატვრის ვინაობის მითითებაც კი არ სურს და თვითნებურად ყველა ნახატიდან წაუშლია მხატვრის ხელმოწერა.

ეს ძალიან ცუდი პრეცედენტია და, რა თქმა უნდა, ჩვენც შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება გვექნება!

კასპელები ქალაქში ზვიად გამსახურდიას ქუჩას და ბიუსტს ითხოვენ

პოეტისა და მთარგმნელის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით კასპელები მისი სახელობის ქუჩის გახსნას და ქალაქში ბიუსტის დადგმას ითხოვენ.

კასპელების ინიციატივა ირაკლი მილაძემ გაახმოვანა:

– 31 მარტს ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით კასპში გაიხსნას პირველი პრეზიდენტის ქუჩა და, ამავდროულად, დაიდგას ბიუსტი.

რა თქმა უნდა, ეს ვერ მოხდება ჩვენი ჩართულობისა და აქტიურობის გარეშე. ამიტომ მსურს, გამომეხმაუროთ და საინიციატივო ჯგუფი ჩამოვაყალიბოთ, რომლის მეშვეობითაც ამ იდეას განვახორციელებთ.

მგონი, სირცხვილია, რომ ჩვენს რაიონში არ არის ამ დიდი დისიდენტის, მთარგმნელის, მწერლის, პუბლიცისტის, ეთნოგრაფისა და პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის არანაირი გამოსახულება, ქუჩა ან ნიშანი, რომ მისი სახელი უკვდავყოფილ იქნეს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პარკში მორბენალმა მამაკაცმა პუმის თავდასხმა გადაიტანა

ამერიკის კოლორადოს შტატის პარკში სავარჯიშოდ იყო მისული, როდესაც მას თავს პუმა დაესხა და ამის შედეგად დაზიანებები მიიღო.

ინციდენტი ქალაქ ფორტ-კოლინსის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ პარკში მოხდა. პუმა მამაკაცს თავს ზურგიდან დაესხა და ბევრი ტრავმა მიაყენა, დაუზიანა ხელები, ფეხები, ზურგი და ასევე სახე საშინლად დაუკაწრა.

თუმცა მამაკაცი ფიზიკურად კარგად მომზადებული აღმოჩნდა, ფლობდა თავდაცვის ხერხებს და მტაცებლის მოკვლა მოახერხა.

– მორბენალმა მამაკაცმა, რაც კი შეეძლო, ყველაფერი გააკეთა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, – განმარტა ადგილობრივმა მკვიდრმა მარკ ლესლიმ, – იმ შემთხვევაში, როდესაც პუმა თავს ზურგიდან გესხმის, ადამიანს უდიდესი ძალისხმევა სჭირდება მტაცებლის მოსაგერიებლად.

დაშავებულმა მამაკაცმა დაუხმარებლად შეძლო ადგილობრივ საავადმყოფომდე მიღწევა. მას იქ აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ამჟამად ის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მოგვიანებით პოლიციამ შემთხვევის ადგილზე მკვდარ პუმას მიაგნო, რომლის წონამ 36 კილოგრამი შეადგინა.

კონტრაბანდისტები უძველესი წიგნის მოპარვას შეეცადნენ

თურქეთის ჟანდარმერიამ სამი კონტრაბანდისტი დააკავა, რომლებსაც უძველესი ბიბლია აღმოუჩინეს. სავარაუდოდ, წიგნი ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნით თარიღდება. უძველეს არტეფაქტს ტყავის თასმების შესაკრავები აქვს და ოქროს ჭედურობითაა დამშვენებული. სამი პირი, რომლებიც უძველესი წიგნის საზღვარგარეთ გაყიდვას აპირებდნენ, დაკავებულია. მათი დაკითხვის შემდეგ კი პოლიციამ კიდევ სამი ეჭვმიტანილი დააკავა, რომლებსაც ასევე ჰქონდათ არტეფაქტის საზღვარგარეთ გატანისა და გაყიდვის მცდელობა.

ქურდებმა ალმასების საცავი დააცარიელეს და ვიწრო გვირაბით გაიპარნენ

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ქურდებმა ბანკის საცავში შეაღწიეს, რომელიც მსოფლიოს უმსხვილეს ალმასების ბაზრობას ემსახურება, და ძვირფასი ქვებით სავსე ათეულობით ყუთი დააცარიელეს.

დაცვის კომპანიამ, რომელიც ბანკს ემსახურება, განგაში კვირას 14:34 საათზე ატეხა. ადგილზე მისულმა პოლიციამ აღმოაჩინა, რომ დაახლოებით 30 ყუთი სეიფი იყო დაცარიელებული, რომლებშიც ალმასები ინახებოდა. იატაკში გაკეთებული იყო ხვრელი, საიდანაც, სავარაუდოდ, ბოროტმოქმედებმა საცავი დატოვეს.

გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ ოთხმეტრიანი გვირაბი ბანკის მოპირდაპირე, ქუჩის მეორე მხარეს მდებარე სახლიდან იყო გაყვანილი კანალიზაციამდე. ბოროტმოქმედებმა ღამით გაიარეს გვირაბი, შეძვრნენ ვიწრო კანალიზაციის მილში და მიხოხდნენ ბანკამდე, გათხარეს კიდევ ოთხი მეტრი, იატაკი გაანგრიეს და საცავში შეაღწიეს. გამომძიებლებმა კანალიზაციაში გადაყრილი ინსტრუმენტები და მატრასი იპოვეს.

გატაცებული ძვირფასეულობის ღირებულება არ სახელდება. ქალაქის მცხოვრებლებმა ქურდობის შესახებ მას შემდეგ შეიტყვეს, როდესაც პოლიციამ ყველა საკანალიზაციო ჭის გახსნა და დათვალიერება დაიწყო. მალე ბანკთან შეწუხებულმა კლიენტებმა მოიყარეს თავი. ბანკის თანამშრომლები მათ გამოკითხვას აწარმოებდნენ და ცდილობდნენ იმის გარკვევას, თუ კერძოდ რას ინახავდნენ ისინი ყუთებში.

ანტვერპენში მდებარეობს მსოფლიოში უდიდესი ალმასების ბაზრობა, რომლის წლიური ბრუნვა 54 მილიარდ დოლარს შეადგენს.

სამგლოვიარო განცხადებები

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით, რძალი ლიკა გაგნიძე, სიძეებით მწუხარებას გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის

ვანო ზოდელავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული მეგრელ-სვანურ-აფხაზური ქარდავების გვარის წარმომადგენლები გულისტკივილით იუწყებიან ბატონი

დურუ ქარდავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს.

ბატონი დურუ დიდი ჯათუ ქარდავას ღირსეული წარმომადგენელი იყო, დიდი ვაჟკაცი, ფიზიკურად სრულყოფილი, სულიერად ლამაზი, აფხაზურ-მეგრულ-სვანური ნათესაური კოდის მატარებელი, კოლხური ადათ-წესების ქომაგი, გვარში გამორჩეული კოლორიტული პიროვნება. ნათელში იყოს მისი ვაჟკაცური, უკვდავი სული!

ძირძველი სამურზაყანოს ქარდავების სახელით: რაჟდენ ქარდავა, გიგლა ქარდავა, იურა ქარდავა, ბესო ქარდავა, ნუგზარ ქარდავა

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

დათვმა ნარკომანი შეჭამა

დაღუპვის მიზეზი აპალაჩის მთებში დაკარგული მამაკაცისა, რომელიც დათვმა შეჭამა, ცნობილი გახდა.

2018 წლის 11 სექტემბერს გრეიტ-სმოკი-მაუნტინსის ეროვნულ პარკში 30 წლის მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. მის გვერდით ეყარა ნემსები და ნარკოტიკების გასაკეთებელი სხვა საშუალებები. მოზრდილი შავი დათვი, რომელიც მამაკაცის სხეულს ჯიჯგნიდა, ადამიანებს მასთან მიახლოების საშუალებას რამდენიმე საათის განმავლობაში არ აძლევდა.

დაღუპულის ამოცნობა მისი ნივთებისა და თავის ქალის, ასევე ჯგუფ „AC/DC“-სა და კონფედერაციის დროშის სვირინგის დახმარებით მოხერხდა. ის აღმოჩნდა ტენესის შტატის ქალაქ ლუისვილის მკვიდრი, 30 წლის უილიამ ლი ჰილი-უმცროსი. ის ოთხი დღის წინ დაიკარგა, როდესაც თავის მეგობართან ერთად ტყეში ჟენშენს ეძებდა.

მამაკაცის ცხედრის გაკვეთის შედეგები ახლახან გახდა ცნობილი. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მისი გარდაცვალების მიზეზი მეტამფეტამინის გადაჭარბებული დოზა იყო. მათ იმის დამადასტურებელ ნიშნებს ვერ მიაგნეს, რომ მისი დაღუპვის მიზეზი დათვის თავდასხმა გახდა. სავარაუდოდ, ცხოველმა უკვე დაღუპული ჰილის ცხედარს მიაგნო.

დათვი ტყის მცველმა 16 სექტემბერს მოკლა, ჰილის მეგობარი კი, რომელიც მასთან ერთად ტყეში ჟენშენს ეძებდა, ოქტომბერში დაიღუპა. მისი გარდაცვალების მიზეზი უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

9 თებერვლისთვის

აშშ დოლარი — 2.6487

ევრო — 3.0187

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4325

100 რუსული რუბლი — 4.0293

ამინდის პროგნოზი 9 თებერვლისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

5 თებერვლიდან

ჰენრი რაიდერ ჰაგარდი

მონტესუმას ასული



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

12 თებერვლიდან

სულხან საბა ორბელიანი

სიბრძნე სიცრუისა



ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები

15 თებერვლიდან

გუსტავ ფლობერი

მადამ ბოვარი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

7 თებერვლიდან

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

ფლამენგოს ბაზაზე ხანძრის გამო 10 ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიღუპა

ბრაზილიაში ტრაგედია მოხდა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გუნდის, ფლამენგოს ბაზას ცეცხლი გაუჩნდა და დაახლოებით 10 ახალგაზრდა ფეხბურთელი დაიღუპა. ფლამენგო საკმაოდ მდიდარი გუნდია და მათი ბაზა ცნობილია ბრაზილიაში. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა გახდა ხანძრის გაჩენის მიზეზი.



იუმორი

საცეკვაო მოედანზე ბიჭი გოგონას ეკითხება:

– გოგონი, შემდეგ ცეკვაზე მიწვეული ხართ?

– ჯერ არა, თავისუფალი ვარ!

– მაშინ ეს ლუდის კათხა დამიჭირეთ...

•••

ორი ლოთი ზის და სვამს. ერთი მეორეს ეკითხება:

– შეგიძლია მითხრა, რა არის ლოგიკა?

– აი, ხედავ, ორი კაცი მიდის, ერთი სუფთაა, მეორე – ჭუჭყიანი. რომელი მათგანი მიდის აბანოში?

– ჭუჭყიანი...

– სწორია, ის ჭუჭყიანია და იმიტომაც მიდის აბანოში. აი, ამას ჰქვია ლოგიკა.

– და შეგიძლია ამიხსნა, რა არის დიალექტიკა?

– ნუ... ხედავ, ორი კაცი მიდის, ერთი სუფთაა, მეორე – ჭუჭყიანი. რომელი მათგანი მიდის აბანოში?

– ჭუჭყიანი...

– არასწორია! სუფთა მიდის, ჭუჭყიანი კი იმიტომაც არის ჭუჭყიანი, რომ ის აბანოში არ დადის. აი, ამას ჰქვია დიალექტიკა...

– და მაშინ ფილოსოფია რაღაა?

– ხედავ... ორი კაცი მიდის, ერთი სუფთაა, მეორე – ჭუჭყიანი. რომელი მათგანი მიდის აბანოში?

– ერთი მაგათიც, მე რა ჩემი ფეხები ვიცი...

– აი, ეგ არის ფილოსოფია.

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამიკო, მართალია, რომ ოჯახი პატარა სახელმწიფოა?

– მართალია.

– და შენ ვინ ხარ?

– მე პრეზიდენტი ვარ.

– დედა?

– ხელისუფლება.

– ბებია?

– სახელმწიფო უშიშროება.

– მე?

– შენ... შენ ხალხი ხარ!

ერთი საათის შემდეგ ბავშვი სამსახურში მყოფ მამას ურეკავს და ეუბნება:

– ბატონო პრეზიდენტო, ჩვენს სახელმწიფოში ხელისუფლებას სხვა პრეზიდენტი დაეუფლა, უშიშროებას სძინავს, ხალხი კი ღელავს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრიშტიანუ რონალდუს დედას სიმსივნე აღმოაჩნდა

კრიშტიანუ რონალდუს დედას დოლორეს ავეიროს სიმსივნე დაუდგინდა. ამის შესახებ ესპანური გაზეთი მარკა იუწყება. ჯერჯერობით ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია თვითონ რონალდუს, რომელიც ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებს.

კრიშტიანუს მამა 2008 წელს გარდაეცვალა, ხოლო დედასთან განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა აქვს და მასზე ხშირად საუბრობს ინტერვიუებში.

შესაძლოა, უახლოეს დღეებში რონალდუ პორტუგალიაში გადაფრინდეს და იუვენტუსის შეხვედრა გამოტოვოს.

ისკო: „რეალში თავის გამოჩენის საშუალებას არ მაძლევენ“

მადრიდის რეალის ნახევარმცველმა ისკომ დუმილი დაარღვია და სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო პროტესტი ხმამაღლა გამოთქვა.

ისკოს თქმით, მას არ აძლევენ საშუალებას, თავი გამოიჩინოს და უსამართლოდ ექცევიან.

– სხვა ფეხბურთელებს ასე არ ექცევიან, მე კი შანსს არ მაძლევენ. მოვიდა დრო, რომ ამაზე ხმამაღლა ვისაუბრო. თუ არაფერი შეიცვალა, მაშინ რეალიდან წავალ, – განაცხადა ისკომ. ისკოს ყიდვა ბევრ კლუბს სურს, განსაკუთრებით ეს მანჩესტერ სიტისა და იუვენტუსს ეხება, თუმცა ეს უკანასკნელი ბოლო პერიოდში ნაკლებად აქტიურობს.

ანანიძე: „ჩემი შეძენა არსენალსა და ვალენსიას სურდათ“

კრილია სოვეტოვის ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ სპარტაკში ყოფნის პერიოდი გაიხსენა და თქვა, რომ მისი შეძენა არსენალსა და ვალენსიას სურდათ. ეს დაახლოებით 8 წლის წინ იყო და სპარტაკმა ის არ გაუშვა.

– წლების წინ ჩემი შეძენა ვალენსიასა და არსენალს სურდათ, მაგრამ სპარტაკმა ამის შესახებ არაფერი მითხრა და საბოლოოდ ეს ტრანსფერები ჩაიშალა. იმ პერიოდში ვალენსია ძალიან ძლიერი გუნდი იყო და იქ დავიდ სილვა თამაშობდა, – განაცხადა ჯანო ანანიძემ.

ემილიანო სალას ცხედარი ლა მანშის სრუტეში იპოვეს



ლა მანშის სრუტეში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ნაწილებში აღმოჩენილი ცხედარი ფეხბურთელ ემილიანო სალას ეკუთვნის.

ამის შესახებ დორსეტის საგრაფოს პოლიცია იტყობინება.

ცხედარი წყლიდან 7 თებერვალს ამოიტანეს, გვამის ამოცნობა შესაბამისი პროცედურებით მოხდა.

59 წლის მფრინავი დევიდ იბოტსონი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება.

ავიაკატასტროფა 21 იანვარს მოხდა. ინტერნეტში გავრცელდა აუდიოშეტყობინებაც, რომელიც ფეხბურთელმა მეგობრებს მანამდე გაუგზავნა ვოტსაპით, ვიდრე კერძო თვითმფრინავი ლა-მანშის ზემოთ რადარებიდან გაქრებოდა.

შეტყობინებაში სალა თვითმფრინავის ცუდ მდგომარეობაზე საუბრობს.

„როგორ ხართ, ძმებო? მართლა ძალიან დაღლილი ვარ. ნინტში ვიყავი და იმდენი საქმე მაქვს, სულ საქმე და ეს არასოდეს მთავრდება“, – ამბობს სალა ერთ-ერთ მესიჯში.

„ახლა თვითმფრინავში ვარ და ისეთი გრძნობა მაქვს, რომ დაიშლება. კარდიფში მივფრინავ, საგიჟეთია. ხვალ ახალ კლუბში უნდა ვივარჯიშო. ბიჭებო, ახალ კლუბში ვარ“ – ეს მეორე შეტყობინებაა.

„ბიჭებო, ყველანი კარგად ხართ? თუკი ჩემგან უახლოეს საათ-ნახევარში ინფორმაციას ვერ მიიღებთ, მგონი, სამაშველო გუნდი დაგვჭირდება. არ ვიცი, ვინმეს გამოგზავნიან თუ არა, მაინც ვერ გვიპოვიან. უკვე მეშინია“, – ეს კი მისი უკანასკნელი შეტყობინება აღმოჩნდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. ათი მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 2. საქართველოს ყველაზე წყალუხვი მდინარე; 3. იახტების, ნავების სადგომი ნავსადგურში; 5. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 8. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 10. სპილენძის შემცველი ლურჯი ფერის მინერალი; 12. ხეხილის ბაღი; 14. არაბი გლეხი; 15. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დაღუქული ჩანთა; 16. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში.

თარაზულად: 1. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 4. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 7. ჰოლივუდის კინორეჟისორი; 9. ურუგვაის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი; 11. საადგილმამულო საკრედიტო დაწესებულება ძველად საქართველოში; 12. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 13. კროსვორდის გამომგონებელი; 17. პანტომიმის ძველი ქართული სახელწოდება; 18. ირლანდიის ისტორიული სახელწოდება; 19. ძვირფასი ქვა; 20. გეომეტრიული ფიგურა.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა